

გაიქნე ღმრთვი

ჴმრთვი ჴმრთვი
ჴმრთვი ჴმრთვი

ჴმრთვი ჴმრთვი

ჴმრთვი ჴმრთვი



8 Г2+03
899.962.1.092 [რუსთაველი]+413.19
დ 737

„ვეფხისტყაოსნი“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ კიდევ ერთი ნაბიჯია შოთა რუსთაველის პოეტური სამყაროს კვლევაში.

რუსთაველის ფრაზეოლოგია მდიდარი და მრავალფეროვანია; მისი საშუალებით აყალიბებს შემოქმედი პოეტურ სახეებს, გადმოგვცემს პოემის პერსონაჟთა რთულ შინაგან ბუნებას.

წინამდებარე ლექსიკონი ქმნის იმის ნათელ სურათს, თუ რა გამოიყენა რუსთაველმა თავის წინამორბედთა და თანამედროვეთაგან; რაა საკუთრივ რუსთაველისეული და რა გავლენას ახდენს რუსთაველი თავისი ფრაზეოლოგიით მომღვწო საუკუნეთა მწერლების შემოქმედებაზე.

ავტორის აზარი

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს პირველ ცდას — გვიჩვენოს „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგია რუსთაველამდელი, მისი თანამედროვე და შემდეგდროინდელი ქართული მწერლობის ძეგლებში დაცულ მასალასთან მიმართებით. ამოსავლად მიჩნეულია რუსთაველის ფრაზეოლოგია, რომელსაც უზის მხოლოდ სტროფისა და ტაეპის მაჩვენებელი. ერთნაირი ფრაზეოლოგია ლექსიკონში წარმოდგენილია იმდენჯერ, რამდენჯერაც იგი ნაწარმოებში გვხვდება. შემდეგ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, შესაძლებლობის ფარგლებში, ეს ფრაზეოლოგია დოკუმენტირებულია სხვა ძეგლებში დაცული მასალის მიხედვითაც. რამდენადაც ამის შესაძლებლობას პოემის ტექსტი იძლევა, „ვეფხისტყაოსნის“ მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები ლექსიკონში განმარტებულია რუსთაველის სინონიმური ფრაზეოლოგიით; ძირითადად კი „ვეფხისტყაოსნის“ სპეციფიკურ გამოთქმათა გვერდით მოცემულია სხვა ძეგლებში ფიქსირებული სინონიმური ფრაზეოლოგია თითო-თითოჯერ. ამდენად ეს ლექსიკონი ფრაზეოლოგიურ-სინონიმურიცაა.

რუსთაველის ფრაზეოლოგია არსებითად მხატვრულია; მისი საშუალებით შემოქმედი აყალიბებს პოეტურ სახეებს. ამდენად ამ წიგნისათვის შეიძლებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ფრაზეოლოგიის ლექსიკონი შეგვერქვა. მაგრამ პოემაში ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეული წმინდა მხატვრული ფუნქციით არაა დატვირთული; ამის გამო ამგვარი დასათურებისგან თავი შევიკავეთ.

ლექსიკონში მოცემული მასალა გვაძლევს ქართული ენის ფრაზეოლოგიის მთელ სურათს რუსთაველის პოემის ფონზე. იგი გვითვისებს წინებს, თუ რა გამოიყენა დიდმა პოეტმა თავის

წინამორბედთა და თანამედროვეთაგან, რაა საკუთრივ რუსთ-
ველისეული და რა გავლენას ახდენს რუსთაველი თავისი
ფრაზეოლოგიით მომდევნო საუკუნეთა მწერლების პოე-
ზიაზე.

რა თქმა უნდა, ბევრი მასალა, რაც არ შეესატყვისებოდა
„ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიას არც უშუალოდ და არც
სინონიმურად, ამ წიგნის გარეთ დარჩა და მისი გამოყენება,
XIX და XX საუკუნეთა მწერლობაში დაცულ ფრაზეოლოგი-
ასთან ერთად, წიგნის ავტორის მორიგ ამოცანას წარმოადგენს
ქართული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შესადგენად.

ძირითადი წყარო ამ წიგნის შედგენისათვის ქართული
მხატვრული ლიტერატურის ძეგლები იყო V საუკუნიდან
XIX საუკუნემდე. შესაძლებლობის ფარგლებში ლექსიკონ-
ში აისახა ქართული სასულიერო, საერო, საისტორიო და ფი-
ლოსოფიური მწერლობის მდიდარი ფრაზეოლოგია.

ბუნებრივია, წიგნი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანება-
თაგან. ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა შე-
ნიშვნას, რომელიც წიგნის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ იქ-
ნება მიმართული.



შ. რუსთაველის სტროფებისა და ტაეპების ჩვენება ემყა-
რება „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემას
(„საბჭოთა საქართველო“).

ბოეტური ტექსტის ორმაჩვენებლიან ციფრთაგან პირვე-
ლი სტროფს მიუთითებს, მეორე — ტაეპს. მაგალითად:

ვერ იქნების უმეჩუფთოდ ნათესავი აღამისა შენ 1400,4.

აღგილი მოყვანილია „შაჰ-ნამედან“; 1400 სტროფის მაჩ-
ვენებელია, ხოლო 4—ტაეპისა.

პროზაული ტექსტის ორმაჩვენებლიან ციფრთაგან პირვე-
ლი გვერდს აღნიშნავს, მეორე — სტრიქონს. მაგალითად:

იგი ჯაღოა, ავისა მქმნელი, ავისა მოქუმელი ვისრ. 192,33.

დაყოფილი სიტყვების მისამართია „ვისრამიანის“ 1962
წლის გამოცემის 192-ე გვერდის 33-ე სტრიქონი.

პოეტური ნაწარმოების სამმაჩვენებლიან ციფრთაგან პირველი გვერდს აღნიშნავს, მეორე — სტროფს, მესამე—ტაქსს. მაგალითად:

გულს ნუ იჩვილებთ, იყავით გულისა გამაგრებითა გურ.,
102, 538, 1.

დაყოფილი ფრაზეოლოგიის მისამართია დ. გურამიშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (1955) 102-ე გვერდის 538-ე სტროფის 1-ლი ტაქტი.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგია

250 წელზე მეტი ხანია, რაც რუსთაველის პოეზიას იკვლევენ და რამდენი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია ასეა: დიდ შემოქმედს არც მასალა მოაკლდება გამოსაკვლევად და არც მკვლევარი — ამ მასალის შემსწავლელი. მაგრამ ზოგჯერ კვლევის საგნად ისეთ მოვლენებს იღებენ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს ამ გენიალური პოეტის მხატვრულ წარმოსახვასთან. ამ შემთხვევაში ივიწყებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული ლიტერატურის ძეგლია. ამიტომ თანამედროვე თუ იმდროინდელი მეცნიერების ცნებათა მიხედვით ამ ნაწარმოებში ნახმარ სიტყვათა გააზრება და აქედან გარკვეული დასკვნების გამოტანა მეთოდოლოგიურად მცდარია და მიუღებელი. რუსთაველის შემოქმედების შესწავლა პირველ რიგში პოემის ტექსტს უნდა ემყარებოდეს. რუსთაველის სიდიადე ამ პოემის ფარგლებშია საძიებელი და არა მის გარეთ. რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა საშუალო საუკუნეთა მსოფლიოს ეს გოლიათი შემოქმედი მისი წინამორბედი, თანამედროვე და შემდგომი დროის საზოგადოებრივი აზროვნებისგან გათიშულად წარმოგვედგინა, მაგრამ ყოველივე ეს მაინც შედარების სფეროა, რომლის საშუალებითაც ირკვევა რუსთაველის შემოქმედების წყაროები და მისი დამოუკიდებელი სახეც ჩვენი ეროვნული პოეზიის განვითარების ისტორიაში.

ამჯერად რუსთაველის პოეზიის ერთ მნიშვნელოვან საკითხს — „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიის ბუნებას შევეხებით.

მრავალმხრივია რუსთაველის მხატვრული გამოსახვის საშუალებანი. პოეტური სახის შექმნისათვის დიდი მგოსანი მალალოსტატურად იყენებს როგორც ცალკე სიტყვას, ისე სიტყვათა

კგუფს. ერთსაც და მეორესაც რუსთაველის მხატვრულ მეტყველებაში პოეტური ფუნქცია ეკისრება. მაგალითად, ბალი, ბროლი, ლალი რუსთაველის პოემაში პირისახის მეტაფორებს წარმოადგენენ:

გეღნი შოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შე-რა-შენდა 1146,3.
ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო 1479,3.
ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა
1493, 4.

მზე, ლომი, მთვარე მიჯნურთა მეტაფორებია:

გიხმობს შენი მზე შენ, მისთვის მოსურვებულსა 399,3.
წამოვლე; მოგელის ლომსა მთვარეო 400,4.

ეს სიტყვები თავიანთი შინაგანი მნიშვნელობით ამომწურავად გადმოგვცემენ საგნის არსებითს ნიშნებს, მის სილამაზეს, მომხიბლაობას, მოქნილობას, ელვარებასა და ძლიერებას. ყველა ისინი რეალურად არსებული საგნები არიან და მათი დამახასიათებელი ნიშნების ადამიანზე გადატანივით რუსთაველი თავის გმირებს სინამდვილის გარემოცვაში წარმოგვისახავს. ესაა ცალკეული სიტყვების რუსთაველისეული მეტაფორიზაციის სპეციფიკური ნიშანი.

მაგრამ რუსთაველის პოეტური მეტყველების მთელი მრავალფეროვნება არსებითად მის ფრაზეოლოგიაშია გამოვლენილი. ფრაზეოლოგიაში მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ მყარ ერთეულებს, რომლებიც ენაში ისევე გამძლენი არიან, როგორც ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები. მეტიც: ისინი დიდხანს ინარჩუნებენ არა მხოლოდ ფრაზის შედგენილობას, ამ ფრაზით გადმოცემულ მნიშვნელობასაც.

რუსთაველის ფრაზეოლოგიას აქვს თავისი წყაროებიცა და საკუთარი არსენალიც. წარმოუდგენელია, 1600-მდე სტროფში ნახმარი 1700-მდე დამოუკიდებელი ფრაზეოლოგიური ერთეული მხოლოდ ავტორს ეკუთვნოდეს. რუსთაველის სიდიადედ სწორედ ისაა, რომ დიდმა პოეტმა ამომწურავად შეისრუტა ქართული ენის მდიდარი ფრაზეოლოგიური მემკვიდრეობა და მასთან ერთად ბევრი რამ ისეთი ორიგინალური შექმნა, რომლებიც გვირგვინია მთელი ჩვენი პოეტური აზროვნებისა.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიის ერთი ნაკადი წინა-

მორბედ მწერლობაში ფიქსირებული მყარი ენობრივი ერთეულებია; მეორე წყარო ხალხში გავრცელებული გამოთქმებია. დანარჩენი კი საკუთრივ რუსთველურია.

არის თუ არა სამივე ფენა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიისა ერთნაირი ძალისა და წონის? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მწერლის მსოფლმხედველობის განსაზღვრისას მათ მაინც უნდა გაეწიოთ ანგარიში. შემოქმედის აზროვნების გათვალისწინებისას ცალკეულ სიტყვებს იმდენად არ აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ეს უკანასკნელი შემკვრივებულად გამოხატავს პოეტური ჩანაფიქრის შინაგან არსს, მის მიზანმიმართულებას.

რა გამოიყენა რუსთაველმა წინამორბედ და თანამედროვე ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიიდან?

ჩვენი დაკვირვებით, წინამორბედ და თანამედროვე ქართულ მწერლობაში ფიქსირებული ფრაზეოლოგიიდან რუსთაველს გამოყენებული აქვს 200-მდე ერთეული; აქედან ასზე მეტი მყარი ფრაზეოლოგიური ერთეული ზუსტად იმგვარივეა, რაც „ვისრამიანში“ გვხვდება. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ცეცხლის დავსება, ბედის მდურვა, ბროლის ყელი, გავსებული მთვარე, გაღეული მთვარე, გულის დაბმა, გულის დატყუევა, გულის ტკივნება, გულის ნების გასრულება, საწადლის გასრულება, გულის წამალი, ვარდის წყალი, ველად გაქრა, ზენაარის გატეხა, კოკობი ვარდი, მუხთალი საწუთრო, ხვაშიადის შენახვა, ფერის კრთომა, ღრუბელთა წვიმა, ცეცხლის დაგზება, მზისა და მთვარის შეყრა, სიყვარულის ზრდა, სიცოცხლის გაძლება, სულის წაღება და სხვ.

„ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ ერთმანეთთან სიყვარულის საკითხი აკავშირებს. მართალია, ეს გრძნობა ამ ორ ნაწარმოებში განსხვავებულადაა გაგებული, მაგრამ სიყვარულის გრძნობის განცდა ორივეგან მძაფრ სულიერ ტკივილებში სახიერდება. ამან შეაპირობა მათი ფრაზეოლოგიის სიახლოვე. „ვისრამიანის“ ფრაზეოლოგია რუსთაველის პოეტური წარმოსახვის ერთ-ერთი მძლავრი ნაკადია. იგი არსებითად მიჯნურთა სულიერი მღელვარების გამოვლინებაში გვეხმარება. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რომლებიც „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“

საერთოა, ერთი წყარო უნდა ჰქონდეთ. ამ ორ მხატვრულ ძეგლში გამოყენებული რიგი გამოთქმები, საფიქრებელია, ხალხური წყაროდან იყოს შეთვისებული. მაგალითად: ბიჯის წაღვმა, გზის შეკრვა, გულის გამაგრება, გულის გაძლება, თავის შეწყალება, თვალის დაბრმობა, იმედის გარდაწყვეტა, მზის აღმობღომა, მზის ფიცვა, მიწის პირი, მუხთალი საწუთრო, პასუხის გაცემა, ტკილი სიტყვა, ცრემლის დაღვრა, ჭირის გაძლება, ჭირის გარდახდა, ჭირის ნახვა, ხანის გამობღომა, ფიცის გატეხა, საქმის გამორჩევა, სისხლის დაღვრა, სისხლის დენა.

სამხედრო წრის რაინდული ნორმების გამომხატველი ფრაზეოლოგია აკავშირებს „ვეფხისტყაოსანს“ „ამირანდარეჯანიანთან“ და საისტორიო ძეგლებთან. „ამირანდარეჯანიანთან“ მას საერთო აქვს შემდეგი გამოთქმები: ბრძანების გაცემა, ბუკის კრვა, დაბდაბის კრვა, ზარისგან ახმა, ლაშქართა წვევა, პირის დასკვნა, ფიცხელი ომი, ძღვნის ძღვნა, საბოძერის ბოძება, ხელის გახსნა, ხელის მიყოფა.

საისტორიო ძეგლებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიაში საერთოა: აერთა ქუხილი (ლეონტი მროველი), ბუკის ცემა, დაბდაბის ცემა (ჯუანშერი), გულის ნთება, ზარის გახდომა, რაზმის დაწყობა, სისხლის ღვარის დენა (ისტორიანი და აზმანი).

წმინდა პოეტური ფრაზეოლოგიით ენათესავება რუსთაველი მხატვრული სიტყვის დიდოსტატებს ჩახრუხაძესა და იოანე შავთელს. თუმცა ეს ფრაზეოლოგია ძალზე მცირეა, მაგრამ თავისი ფუნქციით მხატვრული ღირებულებისაა და ამდენად რუსთაველის პოეტური მეტყველების ერთი მნიშვნელოვანი წყაროთაგანია. ეს ფრაზეოლოგიაა: ალვის მორჩი, ბროლის ველი, მელნის ტბა, შვიდი მნათობი, შუქის კრთომა, სოფლის წყალი (ჩახრუხაძე), ელვის კრთობა და ყორნის ბოლო (ი. შავთელი).

60-ზე მეტი ფრაზეოლოგიური ერთეული გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ ისეთი, რაც ფიქსირებულია რუსთაველამდელ სასულიერო მწერლობის ძეგლებში. მათ შორის ბევრი მათგანი მოკლებულია რელიგიურ ელფერს და უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხური მეტყველებიდან შევიდა სასულიერო მწე-

რლობაში. მაგალითად, ცეცხლის დაშრეტა, თავის მოკვეთა, თვალთა შედგმა (ევესტათი მცხეთელის მარტვილობა), გვირგვინის დადგმა, გულის წვა, გულის დაწყლულება, ღონის მოვონება (ბალაგარიანი), გულის განნათლება, თვალთა დაწუხვა, მზის დაბნელება, მშვიდობის გზა, ცეცხლთა გზნება, ცრემლს წყარო, გულის დადნობა (მამათა სწავლანი), გულის ნება, გულის შეძრწუნება, დედის მუცელი (ფსალმუნი), ზღვის ლეღვა, თავის მოდრეკა, კართა დახშობა, მტერთა ძლევა, მხიარული გული, ქების შესხმა, წყაროს თვალი, წყლულის განკურნება (სინური მრავალთავი), ყუავილის დაჭნობა (შუშანიკის მარტვილობა), თავის მოკლვა (ჰაბო ტფილეის მარტვილობა), უშრეტი ცეცხლი (მარკოზი, თთხთავი), გულის ტკივილი (გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება) და სხვ. მაგრამ რიგი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელსაც იყენებს რუსთაველი, სასულიერო მწერლობაში იხმარებოდა რელიგიური გაგებით. ეს ფრაზეოლოგია არსებითად ქრისტიანული რწმენის გამომხატველია. ეს ბუნებრივიცაა. რუსთაველი თავისი ეპოქის შვილია და ემყარება იმდროინდელ გაბატონებულ სააწმუნობას—ქრისტიანულ მოძღვრებას, რომელიც მანამდე არსებულ რელიგიებთან შედარებით მოწინავე იდეოლოგიად იყო მიჩნეული. რუსთაველი, როგორც პიროვნება, ქრისტიანი იყო და მისი მსოფლმხედველობაც ქრისტიანული რწმენითაა ნასაზრდოები. ეს იმითაც დასტურდება, რომ რუსთაველი არაა გულგრილი სასულიერო მწერლობაში დამკვიდრებული რელიგიური ხასიათის ფრაზეოლოგიისადმი და მას ხშირად მიმართავს გარკვეულ სიტუაციასთან დაკავშირებით. მაგალითად: ღმრთის ნება, მაღლის მიცემა, თავის წყალვა, ცხოველი ღმერთი (ევესტათი მცხეთელის მარტვილობა), ბნელის განნათლება, პირის დაყოფა, ხელის აღპყრობა (ფსალმუნი), გარდასრულის ნანა, მადლობის შეწირვა (ბალაგარიანი), ღმრთის რისხვა, კბილთა ღრჭენა, ღმრთის მტერი, შემოქმედის დიდება (სინური მრავალთავი), მაღლის გარდახდა, სულის წაწყმედა (შუშანიკის მარტვილობა), მსხვერპლის შეწირვა (კონსტანტი კახის მარტვილობა), შენდობის თხოვა, შეცოდების შენდობა (მამათა სწავლანი), უფალი უფლებათა (მარტვილობა სერგისა და ბაქოზისი) და სხვ. ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები მხო-

ლოდ ქრისტიანული რელიგიის საკუთრება შეიძლება არ იყოს. მაგრამ ქართულ სასულიერო მწერლობაში, რომელიც რუსთაველის ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს, ისინი ქრისტიანულ რწმენას გამოხატავენ და მათ სწორედ ამ აზრით იყენებს რუსთაველი. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის პოემაში სასულიერო მწერლობისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგია მთელი სისავესით არაა გამოვლენილი. სანიმუშოდ ორი ძეგლის — „სინური მრავალთავისა“ და „ბალავარიანის“ მასალას ავიღებთ, რომელსაც არ იყენებს რუსთაველი: „სინური მრავალთავიდან“: ანგელოზთა გალობა, ანგელოზთა კრებული, ადვრის სარწმუნოებისა, გამოუთქუმელი ნათელი, გამოუთქუმელი საიღუმლო, მადლის გამობწყინება, მადლის განკითხვა, სულის მადლი, ნათელი დაუშრეტელი, ნათლის მოღება, სასუფეველი ღმრთისა, სულის მიფენა, ცისკრის გალობა და სხვ. „ბალავარიანიდან“: მადლი მოთმინებისა, საუკუნო განსუენება, საღმრთო შური, საშუებელი სასუფეველისა, საშუებელი საწუთრომსა, საწუთრომს ამაოება, საწუთრომს დაგდება, საწუთრომს დატევება, სიძულილი საწუთრომსა, სოფლის დათრგუნვა, სოფლის ცთუნება და სხვ. მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ სხვა სასულიერო ნაწარმოებებიდანაც, რომელთაც რუსთაველი არ იყენებს. და ეს გასაგებიცაა: რუსთაველი საერთო მიმართულების მწერალი იყო და მისი ფრაზეოლოგიაც ძირითადად საერო ხასიათისაა. „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიის ის ნაკადი, რომელიც ავტორის გარკვეულ რელიგიურ თვალსაზრისს გადმოსცემს, ღმრთისა და ციური მოვლენებს ამსახველი სიტყვების საშუალებით შედგენილი გამოთქმებია. ეს გამოთქმები ავლენს რუსთაველის დამოკიდებულებას ღვთის მიმართ. ჭეშმარიტებას დიდად დაშორებულია იმის მტკიცება, რომ რუსთაველი თავის პოემაში ათეისტურ იდეებს ქადაგებს. რუსთაველი თავისი ეპოქის გენიალური წარმომადგენელი იყო და მის პოეზიაში სრულყოფილად აისახა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ბუნებრივია, რომ პოეტი იმ რელიგიურ მსოფლმხედველობასაც უწევდა ანგარიშს, რაც მის დროს ოფიციალურად იყო აღიარებული. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარი ყოველი სიტყვის პარალე-

ლის ბიბლიასა და სასულიერო მწერლობის სხვა ძეგლებში ძე-
 ბნა ისეთივე უკიდურესობად უნდა მივიჩნიოთ, როგორც რუ-
 სთაველის აღიარება პანთეისტური მატერიალიზმის წარმომად-
 გენლად. რუსთაველის დამოკიდებულება სასულიერო ფრაზე-
 ოლოგიისადმი მკაცრად განსაზღვრულია. მისი გამოყენების
 საკითხში პოეტი დიდ ზომიერებას იჩენს. იგრძნობა, რომ
 თქვენ წინ დგას თავისი ეპოქის უდიდესი თანამედროვე, რო-
 მელიც სრულყოფილად ფლობს იმდროინდელი მსოფლიოს
 მეცნიერების, ფილოსოფიის, რელიგიისა და ცოდნის სხვა და-
 რგთა მონაპოვრებს და ყოველივე ამას იყენებს იმისათვის კი
 არა, რომ რომელიმე მათგანის მიმდევრად მოგვევლინოს. ეს
 ცოდნა მას სჭირდება საკუთარი მხატვრული მსოფლშეგრძნე-
 ბის გასამდიდრებლად და გასაძლიერებლად, თავისი სათაყვა-
 ნებელი გმირების მონუმენტური ხასიათის სრულქმნისათვის,
 მათი განცდათა სილამაზის ამალღებულად გადმოცემისათვის.
 რუსთაველის პოემაში ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, საკუთ-
 რივ ავტორისეულს, რომელიც, მართალია, გარკვეულ სიტუ-
 აციასთან და პერსონაჟთა მოქმედების გამართლებასთან და-
 კავშირებითაა ნახმარი, მაგრამ პირდაპირ თუ შუალობით მა-
 ინც დიდი პოეტის რელიგიურ მრწამსს გადმოსცემს.

უშუალოდ ავტორისეული ჩანს გამოთქმები:

ზეციით მონაბერი სული: ზეგარდმო არსნი სულითა
 ყვნა ზეციით მონაბერთა 1,2.
 ღმრთისაგან გაწირვა: კაცსა ღმერთი არ გასწი-
 რავს, თუმცა კაცი შეიგებდა 1349,4.

ყველაზე მეტი ფრაზეოლოგია რელიგიური ხასიათისა-
 ავთანდილს მიემართება:

განგება ზენისა: მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგე-
 ბისა ზენისა 1463,4.
 განგების გარდავლენა: არვის ძალ-უც ხორციელსა გან-
 გებისა გარდავლენა 786,4.
 განგების შეცვლა: განგებასა ვერვინ შესცვლის.
 არ-საქმნელი არ იქმნების 188,4
 ცის ძალთა დასი: მარტობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცი-
 სა ძალთა დასი 162,2.
 ღმრთისგან წადება: რაცა ღმერთსა არა სწად-
 დეს, არა საქმე არ იქმნების 784,1.

ავთანდილი მიმართავს მზეს და იყენებს ფილოსოფოსთა მეტაფორას ღმრთის ხატს:

ვის **ხატად ღმრთისად** გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი
827,1.

შედარებით ნაკლები ფრაზეოლოგია მიემართება ტირი-
ელს:

რისხვით გაკითხვა ღმრთისაგან: თუ გიტყუო, მო-
გალორო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს 658,3.

ღმრთის მოწყალება: ჰე ასმათო, მოგვივიდა მოწყალე-
ბა ღმრთისა ზენით 1344,2.

ცის რისხვა: ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემ-
თვის ნუ შუქნია 524,2.

ციერი ღმერთი: მე ვერა ვიყო, ნაცვალსა ღმერთი გარ-
ღიხდის ციერი 1341,1.

რუსთველისეული ფრაზეოლოგიით ნაკლებ სარგებლობს
ნესტანი:

ღმრთის მონება: შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმო-
ნე 1282,3.

ღმრთის შევედრება: ღმერთსა შემვედრე, ნუთუ
კვლა დამხნას სოფლისა შრომასა 1291,1.

დანარჩენ პერსონაჟებს რელიგიური ხასიათის ფრაზეოლო-
გია თითოჯერ მიემართება:

თინათინი ამბობს:

კეთილის შემოქმედი: ბოროტიმცა რად შეექმნა კეთი-
ლისა შემოქმედსა 112,4.

როსტევეანი:

ღმრთისაგან მოძულება: უცილოდ ღმერთსა მოე-
სძულდი აჟამდის მე მხიარული 110,4.

დავარი:

სახიერი ღმერთი: უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სა-
ხიერმან 569,3.

უსენი:

ღმრთის თვალთა რისხვა: თუ ხორციელი არისმცა,
თვალნიმცა მრისხვენ ღმრთისანთ 1143,4.

ასმათი:

გ ა ნ გ ე ბ ი ს წ ა დ ი ლ ი : არს უკეთესი, რაცადა სწადს გან-
გ ე ბ ა ს ა ზ ე ნ ა ს ა 299,4.

ხატაელთა მოციქული:

რ ი ს ხ ვ ი თ ც ი ს დ ა ტ ყ დ ო მ ა : ქვეყანა ჩვენი არ ასწყდეს,
რ ი ს ხ ვ ი თ , არ დ ა გ ვ ტ ყ დ ე ნ ც ა ნ ი ა 416,7.

ტარიელი და ავთანდილი:

ღ მ რ თ ი ს ა გ ა ნ მ ო ხ ე დ ვ ა : ღ მ ე რ თ მ ა ნ მ ო გ ვ ხ ე დ ნ ა
თ ვ ა ლ ი თ ა , ზ ე გ ა რ დ მ ო თ მ ო ნ ა ხ ე დ ი თ ა 1358,2.

როგორი ინტერპრეტაციაც არ უნდა მიეცეს ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, მათთვის რელიგიური ელფერის ჩამოცილება ძნელი საქმე იქნება... და ეს ვერაფერს შემატებს რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევას, რადგან საკითხი მოსწყდება გარკვეულ ისტორიულ ნიადაგს, რომელმაც შეაპირობა რუსთაველის მოსვლა და მისი პოემის შექმნა. ღმრთისა და ღვთიური მოვლენების ცნობა და აღიარება რუსთაველს ხელს არ უშლის ამქვეყნიური ამბები ამ ქვეყანაშივე გაშალოს და ადამიანთა სახეები, მათი მდგომარეობანი და განცდები რეალური საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვიერი მასალით გადმოსცეს.

იმ მდიდარი ფრაზეოლოგიის გარკვეული ნაწილი, რაც რუსთაველის პოემაში გვხვდება, ჩვენი აზრით, ხალხური წყაროდან უნდა მომდინარეობდეს. არა გვგონია, ქართული სიტყვის განუმეორებელ შემოქმედს ანგარიში არ გაეწია ხალხში გავრცელებული ისეთი გამოთქმებისათვის, რომელთაც თუმცა დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა არ გააჩნიათ, თვით ნაწარმოების ძირითადი მოტივების გადმოცემის, მოქმედების განვითარების, გმირთა სულიერი სამყაროს გამოხატვის თვალსაზრისით მაინც დიდ როლს ასრულებენ. ისინი პოემის მხატვრული ქსოვილის აუცილებელ და მთავარ ელემენტებს შეადგენენ. ასეთ გამოთქმებად მიგვაჩნია შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები: ავი მასპინძელი, ალყის მორტყმა, ალყის მოშლა, ალყის შემოკრვა, გრძელი გზა, გრძელი სიტყვა, გულის გახარება, გულის დაჭერება, ენის დაძრვა, ეჭვის შესღვა,

ვალის გარდახდა, ვალის დება, ვარსკვლავთა ამოსლვა, ვიწრო გზა, ზარისგან აღება, ზარის ცემა, თავის დაღება, თავის დაქნევა, თავის დახრა, თავის წაგება, თვალის მოწყველა, კართა ჩანშვა, კლდიანი გზა, კლდოვანი გზა, კლდის ტინი, ლაგმას აღება, ლხინის გამწარება, მახის დგმა, მზის ჩასლვა, მიწის მოყრა, მუხთალი სოფელი, უხანო სოფელი, მუხლთა მოყრა, მცხრალი მთვარე, მხიარული მასპინძელი, ნამუსის შენახვა, ნების დართვა, პირის ხოკა, საბოძერის გაცემა, სამარის გათხრა, სამარის კარი, სანაპიროს გამაგრება, საქურჭლის გაცემა, სისხლის ღვარი, სიტყვის მოგება, სიტყვის შემოკლება, ფასის დაღება, ქვით დაქოლვა, ქრთამის თხოვნა, ქუსლის კრვა, ღონის აგება, ღონის მოგვარება, ყურის დავალება, შავი ბედი, ცრემლის დაღენა, ცრემლის მოღენა, ცრემლის მოხოცვა, ცრემლის ღვრა, ცრუ სოფელი, ცხელი ცეცხლი, ცხენის გაქუსლვა, ძაღლის ყეფა, ხანის დაზმა, ხანის ყოვნება, ხმის დავარდნა, ხრმლის ქნევა, ჭავრიანი გული, ჭავრის შერჩენა.

დანარჩენი ფრაზეოლოგია, ჩვენი აზრით, წმინდა რუსთველურია და მათი უმეტესობა თუ დამთავრებულ მხატვრულ სახეს არა, ამ სახის აგებისათვის აუცილებელი პოეტური გამოსახვის საშუალებებს მაინც წარმოადგენენ.

რუსთაველი მხატვრულ ფრაზეოლოგიას არსებითად პერსონაჟთა გარეგნული და სულიერი მხარეების, მათი ხასიათის, განწყობილების, მდგომარეობის დასახატავად იყენებს. სიტყვიერი მასალა, რომელტც ამ ფრაზეოლოგიისათვისაა გამოყენებული, რეალურად არსებულ საგნებსა და მოვლენებს აღნიშნავს. ისინი საგანგებლდაა შერჩეული იმ თვალსაზრისით, რომ მკითხველში სილამაზის მაღალი განცდები აღძრას. რუსთაველის პოეტური ფრაზეოლოგია მხატვრულ სახეშია გადასული.

რუსთაველის პოემაში პერსონაჟთა ტანის დასახასიათებლად აღვის ხეა გამოყენებული, როგორც მოხდენილი, ლამაზი გარეგნობის აღმნიშვნელი ბუნების რეალური საგანი. არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი მეფეს ასე უხასიათებს ტარიელს:

ვპოვე ხე, ტანი აღვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა.

აქ ყველაფერი რეალურია. ალვის ტანი, რომელიც სოფლის წყლითაა მორწყული, ხელშესახებად წარმოგვისახავს ტარიელის უებრო გარეგნობას. კალმის ერთი მოსმითაა დახატული გმირის პორტრეტი. ზოგჯერაც ამ მშვენიერ სახეს რომ ზეადამიანური ელფერი მისცეს, მას ბიბლიურ წარმოშობილობას უკავშირებს.

წყლად ვეფრატსა უხვად ერწყო ეღემს რგული ალვა
მქვერი, —

ამბობს თინათინის შესახებ და აქ უმაღლეს ხარისხშია აყვანილი გმირის პორტრეტული დახასიათება. ღვთაებრივი ეპითეტებით შეემკობა ამ პერსონაჟს გამოყოფს ჩვეულებრივი ადამიანებისაგან და მას არაჩვეულებრივ სახეთა გალერეას განუკუთვნებს. მხატვრული სახე აქ რუსთაველისათვის დამახასიათებელ ჰიპერბოლაშია გადასული.

რუსთაველისათვის არ არსებობს გაქვავებული სახე. მის მიერ დახატული ტიპები მუდამ მოქმედებაში არიან. პერსონაჟის სახე რომ ახალგაზრდა დაგვიხატოს, ალვის ხეს ზოგჯერ ალვის შტოს სახეს აძლევს:

ვარდი ჰნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა.

სახის მოქმედებაში, დინამიკაში დახატვისას რუსთაველი არჩევს ისეთ სიტყვიერ მასალას, რომელიც ესთეტიკურადაც მიმზიდველია. თანაც ამ თვისების აღმნიშვნელი არსებითი სახელი ზმნურ ფორმაში გადაჰყავს, რომ საგანი მოძრაობაში წარმოგვისახოს მისი პირველადი სურნელების შენარჩუნებით. ფრიდონისკენ მიმავალი ავთანდილი სწორედ ამ თვალსაზრისით ჰყავს დახატული:

ნახვა მჭვრეტელთა ახელებს, ტანი ღერწამობს რხევითა.

პერსონაჟის მთლიანი სახის გადმოცემისათვის რუსთაველს გამოყენებული აქვს ვარდი, მზე, მთვარე, ლომი, ნათელი თავიანთი ეპითეტებით, რომლებიც პერსონაჟის სხვადასხვა მდგომარეობას ასახავს. მაგალითად, უფრჰვენელი ვარდი (მოდინ, ნახე ვარდი შენი უფრჰვენელი და დაუმჰნარი), უღამო ნათელი (თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა), უღრუბლო მთვარე (ანუ ცით მთვარე

უღრუბლო შუქთა მოჭფენდეს ქვე ბარად), შუქ-მოიფე მზე (ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიფეო), შუქ-მონაენი მთვარე (გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მოწანაენითა), შუქ-ნაკიდები მზე (გათენდა. ბანად წავიდა მზე, სოფელს შუქ-ნაკიდები), შუქ-ნაფენი მზე (ტარიელ უთხრა სიცილით, მან მზემან შუქ-ნაფენამან) პერსონაეებს გვიხატავს ლალ მდგომარეობაში. ეპითეტები, რომლებიც პერსონაეის მეტაფორებს მიემართება, მხატვრულ სახეს დასრულებულ ფორმას აძლევს. ესაა რუსთველისეული მანერა პერსონაეის პორტრეტის ხატვისა. არა ნაკლებ ოსტატობას ავლენს პოეტი სულიერი ტკივილების ფონზე გმირთა სახის დახატვისას. მცხრალი მთვარე (მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა), უფერო-ქმნილი-ვარდი (უფერო-ქმნილი მინახვან ვარდნი და ისი იანი), ფერ-მიხდილი მთვარე (ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა მისისა ზრდილისა, ალვისა შტო-დამქნარისა, მთვარისა ფერ-მიხდილისა), ფერ-ნაკლული ვარდი (რა მოჭშორდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად), ფერ-ნამკრთალი ლომი (მისთვის გაჭრილი მინახავს, წევს ლომი ფერ-ნამკრთალი სად), შუქ-მკრთალი ვარდი (ვბოვე ვარდი მოყვითანო, შუქ-მკრთალი და ფერ-მიხდილი), შუქ-ნამკრთალი მთვარე (გვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქ-ნამკრთალისა) რეალური ფერების უჩვეულო შეხამებით დიდი სიზუსტით გვიხატავს პერსონაეტა მთლიანპიროვნულ სახეს სულიერი დეპრესიის მომენტებში.

მაღალი მხატვრული ოსტატობით ხატავს პოეტი სხეულის ცალკეულ ნაწილებს. ამ მხრივ მისი მხატვრული სახეების ძირითად ელემენტებს შეადგენენ: ბროლი, ბროლ-ბალახში, ბროლ-ვარდი, გიშერი, ვარდი, ლალი, ნუში, ძოწი, მარგალიტი. მხატვრული სახის კომპონენტებად ეგვევ სიტყვები აღმოსავლურ პოეზიაშიც გვხვდება. მაგრამ რუსთაველის, როგორც გენიალური მხატვრის, ორიგინალობა ისაა, რომ ამ სიტყვებთან სხვა ლექსიკის შეხამებით სავსებით განსხვავებული მხატვრული სახეები შექმნა, სახეები, რომლებიც თავიანთი შინაგანი ელვარებით დღემდისაც თვალსაჩინოა.

ე. წ. აღორძინების ეპოქაში „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ნორმების მიხედვით იქმნებოდა მხატვრული ნაწარმოებები. სპარსული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევრის დ. კობიძის აზრით, „როსტომიანის“ გამლექსავი „საბაშვილრ, მხატვრული ფერების შერჩევისა და შედარება-მეტაფორების განლაგების თვალსაზრისით, რუსთაველის გავლენას უფრო განიცდის, ვიდრე სპარსული პოეზიისას. ამიტომაც „როსტომიანის“ გმირების შემამკობელ ფერთა შორის რუსთაველის პოეტური ფერებიც გამოსტყვივის.

ასე, მაგალითად, „როსტომიანში“ თვალეები გარდა „ნარგიზისა“, „მელნის ტბებთან“ და „მელნის მორევეთანა“ შედარებული („მელნის ტბათა ნაგუბარი თვალთა ცრემლი იღვრებოდა“, სტროფი 1050₃; „ტანი მიუგავს საროსა... თვალნი მელნისა მორევსა; მართ ცისკრად დასადაროსა“, სტროფი 1250₄), ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“ („მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები“, სტროფი 1146₃; „შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავი საღ“, სტროფი 1253₂ და სხვა).

„როსტომიანში“ ბაგე „ძოწთან“, ხოლო კბილი „მარგალიტთან“ ან „ბროლთანა“ შედარებული („ბაგენი სამოთხეს უგავს... კბილნი მარგალიტს წყობილსა, ძოწსა, აყიყსა ზიარი“, სტროფი 1252₃; „ზურაბ იკბინა ბაგესა, ძოწსა ბროლისა კბილითა“, სტროფი 1671₁), ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“ („შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“, სტროფი 1146₁; „ვენახე ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა“, სტროფი 536₃; „ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი“, სტროფი 1292₄ და სხვა).

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენით („მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს გიშრისა ჭერითა“, სტროფი 1009₄; „ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო ფრთათა“, სტროფი 46₄) „როსტომიანში“ თვალ-წარბი „გიშერთან“ (შავნი გიშრისა თვალ-წარბნი როდამს შვენოდა წყობილი“, სტროფი 1359₃) და; აგრეთვე, „ყორნის ფრთასთანა“ შედარებული („ვით ნახო მისი თვალ-წარბი, ბრძანებ თუ: „ყორნის ფრთე არი“, სტროფი 1252₁)¹.

¹ დავით კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბილისი, 1959, გვ. 128—129.

ჩვენ ვერაფერს დაეუმატებთ ამ მსჯელობას, თუნდაც იმიტომაც, რომ მისი ავტორი სპარსული წყაროების საკითხში ფრიად კომპეტენტურია. დ. კობიძის შრომიდან ამ დიდი ამონაწერის მოყვანა იმისთვის გახდა საჭირო, რომ ნათელგვეყო რუსთველისეულ მხატვრულ სახეთა განსხვავებულობა სპარსული პოეზიის ფრაზეოლოგიისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ზოგიერთი კომპონენტი ერთგვაროვანია.

რუსთაველს არ აკმაყოფილებს ერთი რომელიმე მხატვრული გამოთქმა; მაგალითად, „შავი წამწამი“. ამ ფერის რომელობის მიხედვით იგი თვით საგანს იყენებს თვისების აღმნიშვნელად და სხვა საგნების გამომხატველ სიტყვებთან მისი დაკავშირებით ქმნის უმშვენიერეს მხატვრულ სახეებს. ეს სახეები ამოურწყველია თავისი მრავალფეროვნებით. გიშრის სარი (კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა), გიშრის სატები (სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები), გიშრის საყე (ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია), გიშრის ტალა (სულნი გაიქცეს, მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან), გიშრის ღარი (მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად), გიშრის შუბი (შიგან სისხლისა შორევსა ეყრდნის გიშრისა შუბები), რაზმი ინდოთა ტომისა (ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა), გიშრის ტევრი (სისხლისა ღვარამან შეღება წითლად გიშრისა ტევრები), გიშრის ჭერი (მელნისა ტბათა მიჯარვით ჰბურავს გიშრისა ჭერთა) შავ წამწამთა სინონიმური მხატვრული სახეებია. გიშრის ტბა (მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მენარხეული), მელნის ტბა (მელნისა ტბათა მიჯარვით ჰბურავს გიშრისა ჭერთა), მელნის ტბის თვალი (მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა) შავ თვალთა განუმეორებელი მეტაფორებია. გამომჰვირალი ბროლი (ვარდი გაპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჰვირალი), ტყუბი მარგალიტი (შუა ძოწსა და აყიყსა სკვირს მარგალიტი ტყუბები) კბილთა მეტაფორებია. გიშრის წნე-

ლი (ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა) გადატანით წარბებს აღნიშნავს.

გმირთა პირისახე რუსთაველს გადმოცემული აქვს საკუთარი ფრაზეოლოგიით, რომელიც შეტოლებულია ვარდის ბაღთან (ამაღ ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა) და ვარდის ველთან (ვარდისა ველსა ფონია). პირისახე აქ წარმოსახულია ბუნების ულამაზეს და უმშვენიერეს საგნებთან მიმართებაში. უსულო საგანთა ფერის მიხედვით აქვს დახასიათებული პოეტს სხეულის სხვადასხვა ნაწილი. მაგალითად, ლალის გახეთქა (გახეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერითა), ძოწის გაპობა (გალიმდის, ძოწი გააპობს, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა), ძოწის კარი (მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ღიამან), სათის შეძრვა (ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა), მაგრამ ყველა შემთხვევაში ამ საგანთა ფერი შუქსა და ელვარებას ჰფენს მათი მიმართების ობიექტებს.

ტანის ნაწილთა დინამიკურად წარმოსახვის მიზნით რუსთაველი მიმართავს ერთ სპეციფიკურ ხერხს, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. ესაა მხატვრული სურათის შექმნა ბუნების მოვლენათა ფონზე. ბუნება რუსთაველისათვის პოეტური ჩანაფიქრის სრულყოფის შინაფორმაა. დიდმა პოეტმა თავისი გმირების სახის გარეგნობა, მისი გამომეტყველება, მისი სტატიკური თუ დინამიკური მდგომარეობა ბუნების საგნებისა და მოვლენების მრავალსახოვნობაში გამოგვივლინა. ამ თვალსაზრისით შექმნილ მხატვრულ სახეებსა და სურათებს ჩვენს ერთ შრომაში სახე-პეიზაჟი ვუწოდეთ. ცრემლის სეტყვა და ვარდის ზრობა (ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი), წამწამთა ნიავი (მისთა წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი არავი) ისეთი უძლიერესი მხატვრული სახეებია, რომლის საბადლოს ძებნა რუსთაველის წინამორბედ და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში თვით გავლენებს მოტრფიალე მკვლევარებსაც გაუჭირდებოდათ. არა ვგონია

თავისი სურათოვნებით პარალელი დაეძებნოს რუსთაველის ტაეპს, რომელიც მხატვრულ სახეთა და სურათთა სისტემას ქმნის:

ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა.

ვარდის ბაღი (პირისახე), უჩრდილობს, ჩრდილი წამწამთა ქოხისა დიდებული სახე-პეიზაჟებია, შედგენილი რეალური და ესთეტიკური განცდების აღმძვრელი ლექსიკისაგან. „უჩრდილობს ჩრდილი“, როგორც ვერბალური ალიტერაცია, ამ სახე-პეიზაჟს ფერადონებასთან ერთად (ჩრდილის დაფენის ნიუანსი) მუსიკალურ ხმოვანებასაც აძლევს და, ამრიგად, ასახვის ობიექტს რეალურად წარმოსადგენი ემოციური თვისებებით ამკობს.

გმირთა სულიერი ტკივილების, ადამიანურ განცდათა მძლავრ მხატვრულ სახეებში გადმოცემის მიზნით რუსთაველი წარმოსახვის რეალისტურ ფორმებს მიმართავს. „ვეფხისტყაოსანში“ ბევრია ისეთი ფრაზეოლოგია, რომელიც გმირთა მწუხარებას რეალურად ხელშესახები ლექსიკით გადმოგვცემს. მაგალითად: ას-ნაკეცი ცრემლის გარდმოცვივნა (ქალსა ცრემლი გარდმოსცვივდა ას-ნაკეცი, ბევრის-ბევრად), სისხლის ცრემლთა ტბა (მუნ დაადენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა), სისხლის ცრეპლი (მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისა-ცა მეტის-მეტითა), ცრემლთა გარდმოცვივნა (თვალთა ცრემლნი გარდმოსცვივდეს), ცრემლთა გარდმოწვიმება (ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწვიმდა), ცრემლით თოვნა (დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების), ცრემლის გუბე (შინა შევიდი, მას წინა იდგის ცრემლისა გუბებე), ცრემლის სეტყვა (ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს), ცრემლის ფრქვევა (ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა), ცრემლის წვიმა (ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა), ცხელი ცრემლის გარდმოთოვა (თვალთა ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა), ცხელი ცრემლის წყარო (მან არა გვითხრა, გა-

უშვა წყარო ცრემლისა ცხელისა). ეს ფრაზე-
ოლოგიური ერთეულები არსებითად ერთმანეთის სინონიმებს
წარმოადგენენ და რუსთაველის გმირთა გულის ტკივილებს
მრავალფეროვან ფორმებში წარმოგვისახავს. თანაც თითოე-
ული მათგანი გარკვეული მხატვრული ნიუანსის შემცველა.
მაგრამ რუსთაველი არ კმაყოფილდება ამ ხელშესახები ლექ-
სიკით. ამავე მოვლენის გამოსახატავად იგი მიმართავს მეტა-
ფორიზებულ სახეებსაც, რომლებიც მხატვრული აზროვნების
უმაღლეს საფეხურს გამოგვივლენს. ასეთი სახეებია: ბრო-
ლის სეტყვა (ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს,
ტანსა მქვერსა ათრთოლებდა), ბროლის წვიმა (ნარგისთათ
წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია), გიშრის
ტევრის გუბება (გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარ-
დისა ველსა ფონია), ნარგისთათ ნაგუბარი ცრემლი (დაგრჯი
და დენა ცრემლისა ნარგისთათ ნაგუბარი-
სა), ნარგისთა ქუხილი (ნარგისნი ქუხან, ცრემლსა
წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა), ფიფქის გაწყალება (ღვა-
რმან, ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხე-
ლნი), ფიფქის დათონა (ახალმან ფიფქმან დათონა,
ვარდი დათრთვილა, დანასა), ფიფქის თხელება, ფიფქის ნასე-
ბა (ტარიელ არის დაღრეჯით, ფიფქი ნასდების,
თხელდების). ყველა ესენი განზოგადებულად წარმო-
გვისახავენ პერსონაჟთა სულიერ ტკივილებს, გაძლიევნ/მათს
დახასიათებას შემციირებული ან გაძლიერებული სახით ავტო-
რის მხატვრული მიზანდასახულობის შესაბამისად.

რუსთაველის ოპტიმისტური მსოფლმხედველობა შუქისა
და ელვის ფენითაა გასხიოსნებული. ელვათა ფენა (გაკვირ-
დეს ყოვლნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა), ელ-
ვათა შუქი (ვუქვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ
გავიცადენით), ელვის შედგმა (მოსრულთა პირსა შეადგა
ელვა მისისა პირისა), მზის მიფენა (მიეფინების
მზეველად), მზის შუქთა შემოდგომა (მზემან შუქ-
ნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაკვითენდა), მზის ცი-
აგი (თვალნი მქვერეტელთა, ვით მზისა ციაგსა, დაე-
ლონების), მთვარის მოვანება (უგავს პირისა სინათლე მთვა-

რისა მოვანებასა), შუქთა მიფენა (მზენო, თქვენ შუქნი მიჰფინეთ, ჰაი, რა ავი დარია), შუქთა შემომოსა (შემომოს შუქთა მისთა, ნათლად გარე მოივანებ) და სხვა მრავალი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა საზნაურლო, ლად განწყობილებას გამოხატავენ.

როგორი ბუნებისაა ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები? მზე, მთვარე და მნათობები მხოლოდ რუსთაველის კუთვნილება არაა. იგი გვხვდება სასულიერო მწერლობაშიც. სასულიერო მწერლობის თვალსაზრისით, მზე, მთვარე და საერთოდ მნათობები საღმრთო ნათელთან შედარებით აჩრდილებად მოჩანან. „იოვანეს გამოცხადებაში“ ვკითხულობთ: „და ღამე არა იყოს მუნ, და არა საკმარ იყოს ნათელი და მზე, რამეთუ უფალმან ღმერთმან განანათლნეს იგინი, და სუფევდენ უკუნითი უკუნისამდე“ (22,5).

მზე და ვარსკვლავები, როგორც ბუნებრივი მნათობები, სასულიერო მწერლობის თვალსაზრისით საკუთარი სინათლით კი არ ბრწყინავს, არამედ ღმრთის მოცემული ნათელით. ღვთიურ მოვლენებს სწორედ ეს რელიგიური ნათელი მიემართება და არა ხილული მზე:

„შვდთა ვარსკულავთა შვიდთა მათ ეკლესიათა იტყუს ქუემორე და მახული ორპირი არს რისხეა მისი ურჩულოთა ზედა, რომელი-იგი უმახკლმს არს ყოველისავე მახლისა, ხოლო პირი მისი, ვითარცა მზე, ბრწყინავს არა ხილულითა ნათლითა. არამედ საცნაურითა, რამეთუ მზე არს იგი სიმართლისა და ძალითა და ჭელმწიფებითა თვისითა ბრწყინავს და არა ვითარცა ხილული ესე მზე, რომელი ღმრთისა მოცემულითა სინათლითა ბრწყინავს, — არამედ იგი, ვითარცა ღმერთი, თვისითა ჭელმწიფებითა ნათობს“ (თარგმანება იოვანეს გამოცხადებისა, 1, (16)).

რუსთაველის მხატვრული ფრაზეოლოგია ხილული მზისა და მთვარის შუქით მიეფინება უთვალავი ფერით გაშლალ ქვეყანას და ამ ქვეყნის მკვიდრთ. დიდი მგოსნის მხატვრული ფრაზეოლოგიის წყაროს წარმოადგენს ამქვეყნიური ცხოვრება, მისი თვალწარბეცვი ბუნების საგნები და მოვლენები. რუსთაველის ესთეტიკური წარმოსახვისათვის მხოლოდ ეს ენობრივი მასალა როდია რეალური ხასიათის. ამ მასალისადმი თვით

პოეტის დამოკიდებულებაა რეალისტური. ადამიანის სულიერი განცდები რუსთაველის ფრაზეოლოგიაში ბუნების დიდებული სურათების ფონზე გამოვლენილი და თვით ბუნების მოვლენებიც ადამიანებთან განუყრელ კავშირშია წარმოსახული. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანები და მათი განწყობილებანი ასე ბუნებრივი და თვით ბუნებაც ამიტომვე ადამიანური თვისებებით აღბეჭდილი.

აბჯრის ჩხარი: მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა ჩხარია 91,1; აბჯრის ჩხერება — რა გახვიდოდუ, გუშაგთა ესმის აბჯრისა ჩხერება 1384,1; აბჯართა ჩხერა — წინა ვერავენ დაუდგის, აბჯართა ჩხერა გაუქდა უმე 2411,3.

აბჯრის ჩხარება: ნ. აბჯრის ჩხარი.

აღამის ტომი: ეგრეცა ჰამა მოუნდის აღამის ტომთა წესითა 192,2; აღამის ტომსა ამპარტაენობითა სიტყუასა არავის მიუგებს ვისრ., 78, 11; არ იხსენოს მას წინაშე აღამის ტომთ მონაძევი ომ., 333,3; აღამის ნათესავი—და ინებე შენ შობაჲ საშოასა გან უბიწოასა ცხოვრებისა თვს აღამის ნათესავისა შეცთომილასა შინჩხ., 11, 14; ვერ იქნების უმეჭუფთოდ ნათესავი აღამისა უმე 1400,4; ყოველსა კაცსა თვალი მათზე დავერჩა, რომ აღამის ნათესავი მათ უკეთესი არავის ენახა რუს., 512,17; აღამის თესლი — აღამის თესლი სხვა ერთი მე ვერა მკობდა ვერთა ჩ., 529,1.

აბრთა მუხილი: ხმა ზახილისა მათისა ჰგვანდა აერთა ქუხილსა 1009,2; უწყებულ იყო შენ, მეფე, ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა და ქუხნ ქმითა ჰაერისათა მრ., 107,10.

აბი ბედი: მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა 836,4; თავსა ესტიროდი, ვიტყოდი ბედითა მეტად ავითა 397,3; ღმერთი შერისხდა ზააქსა, ავს ბედს მოელის, არ კარგსა უმე 83,2; ჰირი ლხინად შემცივალა, ავმან ბედმან დაიძინა ომ., 149,2; ჩემს ავს ბედს მისი კეთილი დღე მინდა შორ გააშოროს არჩ., 1, 189, 447,3.

აბი ძაბი: ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა 30,4; ავსა კაცსა ურჩევნია, ავსამცა ჯან აღრე სცნობდა 747,4.

აბი მასპინძელი: ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა 1372,1.

აბი მოყვარე: არ ავი გესვა მოყვარე, ჟამი თუ მომხედეს ჟამისად 627,1; ავი მოყუასი — რად სძებნე ამა მგზავრობაშიგან და ავსა მოყუასსა შეესწარ ვისრ., 247,24.

აბი ნიტხვა: ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა 30,4; რა ესე სიტყუა ესმა ვისსა, აშფოთდა, ავინა, კუშტად ავი სიტყუა მიუგო ვისრ., 88,19; თავი მომკეთეთ, — ასეთსა ავს სიტყუას ნუ მეუბნებო უმე 5563,2.

აპის მამნელი: ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყიე ავისა მქმნელია 332,3; ბედი უბედო ჩემზედა მიწყიე ავისა მქმნელია 1163,2; იგი ჯალოა, ავისა მქმნელი, ავისა მოქმელი ვისრ., 192,33; მათი ფესვი, საძირკველი, ავის მქნელი, ამო-
აგდე **შენ** 1854,2; ჩაგვრია ეშმაკი ავის მქნელია **ომ.**, 222,4; არ არის იგი მეკობრე და არცა მქნელი ავისა **მთ.**, 612,3; ბოლოდ ვასინჯეთ ნაქნარი სოფლისა ავის მქნელისა **თან.**, 2130,4; იერო-
ბამის, ბილწთ შეპყრობა მის, სახედ დაედვა ყოვლს ავის მქნელ-
სა **არჩ.**, 1, 230, 27,2; ავის მოქმედი — ეგზომი ავი კაცია და ავი-
სა მოქმედი, რომელ მისთუის შემკუდარი და მისი საკუთარი ესრე
გაწირაო ვისრ., 220,8; ყოვლის კაცის საძაგელო, სულ მოქმედო
ავისაო **არჩ.** 11, 245,3.

აპის მამნელთა დაშინება: ავთა მქნელნი დააშინნეს,
კრანნი ცხვართა ვერ უწოდეს 1582,3.

აპის მნა: თუ მალისებ განკითხვასა, ავი არა არ მიქნია
524,3; მე ავი მიქმნია და შემციოდებია, შენ კარგი ქმენ და
შემინდე ვისრ., 244,6; გულისაგან გაიშორე ავის ქნანი **შენ**
2447,1; ავის მოქმედება — ნუთუ მაგათია რჯულწმიდობით ავის
მოქმედება ვითაც გაქრა, ეგრეთ სახელიც მისი დაიკარგოსო
რუს., 214,34.

ალაფის აღმბინება: გავგზავნენ ყოვლენით ლაშქარნი, ალაფი
ივალებინე 448,1.

ალვა მორჩი: ღმერთმან ქმნას და კვლაცა ვნახო ალვა მორ-
ჩი, ვანაზარდი 657,4.

ალვის დაშნება: მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ
დაქნა ხე 155,3.

ალვის მორჩი: ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩისა
ვით ხეს 1410,1; ცისკრობს მოხედვა, მოკლის, მო, ხედვა ალვისა მორ-
ჩითა რტოთა მორჩევად **თ.**, 40,10; ჰგავს ედემით აღმოსრულსა,
ალვის მორჩისა ტანად სრულსა **შენ** 1319,2; ალვის ნორჩი—შენ
პატრონი არსთა მზე ხარ ქვეყანისა მორეული; ალვის ნორჩი,
ცისკრის ვარდი, მუშესურნელი ამბრეული, **ჩ.**, 266,2.

ალვის სულის შნობა: ეყნოსა სული ალვისა, ქართა-
გან მონატაცისა 224,3.

ალვის ტანი: ეპოვე ხე, ტანი ალვისა 687,3; ჩემი სთქვა:
სხვათა მიხედოა იგი ალვისა ტანითა 1289,2.

ალვის შტოს რხობა: ვარდი ქნებოდა, ღვრებოდა, ალვისა
შტო ირხეოდა 943,1.

ალვის ხე: მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხი-
საგან 1135,3; მათ ერთობ ისიყუარულეს, ისხდეს, ალვისა ხე
ვითა **შენ** 1361,3.

ალთაბან გულის ღაფვა: დღენი გამოხდეს, მე გული უფრო
 როგორ დამწვეს კვლა ალთა 354,1.

ალის ღება: მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიღებს
 ალსა 1234,1; თქვა „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვის-
 გან ალი“ 316,4; იგი იკურებს უკულმავე, ედებოდეს ამით აღ-
 ნი 1559,3; მედება ალი, გულსა ბრკყალი, არა მაქვს შეება ბე-
 ხიკი, 49, 5, 2; შერო შენსორე ნავთა თლილებსა, მართმევს ძალებსა, მი-
 დებს ალებსა დ.თუმ., .100,8; ალის სახმილის ღება— იგი მუნ
 იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა 322,4; სახმილის
 ღება — მზერო, სახმილი გვედების შენგან ალისა 1145, 2; ვინ
 არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილინი სდებიან 867,1; ამად
 მედების სახმილი, გულსა ეცხელა, ებავთა 1496,4; რასთვის
 შეიქნა უბადო, აწ რა სახმილი სდებიან ბ.-გულ., 752,2; მუ-
 დამ . სახმილი მედების, ალი შეხვევის დავისა თბ., 331,2;
 ცეცხლის ღება — მაგრა დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა
 კვლა ღება 718,3; ფატმან ეპედა თავისათვის, ამად ცეცხლისა
 კვლა იღებდა 1239,2; ორთავე ცეცხლი სდებოდა 911,1;
 ცოტად ეგრეცა დაუვებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს
 913,3; იგი მთვარე ჩემი იყო, მით მედების ცეცხლი მდავად
 623,3; მის ყმისა ცეცხლი მედების, 724,1; 990,1; მე რომე
 ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა 916,2; აწ გაყრისა მო-
 ნლოდნესა ედებოდა ცეცხლი, სწვიდა 1008,3; შენ მომასწარ,
 თურა შენგან მე უფრო მქირს ცეცხლთა ღება 1083,2; ჩვენ
 გვიჩვენა პირი თქვენი, აღარა გვწვავს ცეცხლთა ღება 1440,3;
 შემიყრისართ, აღარა გვწვავს ცეცხლთა ღება 1534,2; მე, გლახ,
 მარტომან რა ვუყო, მიბატებს ცეცხლთა ღებასა 1140,1; და-
 რამს უბრძანა, უთუოდ ცეცხლმან დამიწყო ღებაო 268
 1256,2; მის ანბავს ნუღარას მკითხავ, მისი ბრალი ცეცხლს მი-
 დებს რუს., 183,29; შორს ყოფნისა მგონებელსა უმისობა ცეცხლ-
 სა მიღებს ომ., 179,3; აწყა ვახსენებ დღესა მას, ოდითგან ცეცხ-
 ლნი მდებიან ჩ., 149,4; წადი და იყავ შშვიდობით, გეყოფა ცე-
 ცხლთა ღებაო, თ. 1, 12, 74,4; თუ ვინ თქვას შენი ჭბნება, ნუ
 ღამხსნი ცეცხლთა ღებასა არჩ. II, 104,4. მიძიმს ჩემი დაბა-
 ღება, ...სოფლისაგან ცეცხლთა ღება თბ., 370,2; გულს ალობის
 ღება — მითხრა: „ღლე ეგე სირცხვილად, მედების გულსა ალო-
 ბა“ 367,1; გულს ალის ღება — მქერეტელთა და გამგონელთა
 ედებოდა გულსა აღნი მთ., 254,4; მწუხარებისა სახმილი მე-
 დების გულსა ალები თ. 1, 96, 290,2; მოშორდა სული, გა-
 შექცა, გულსა მედების ალები საბა, II, 261,27; გულს
 სახმილის ღება — იქი ვერ მივალ, მრცხვენიან, გულსა სახმილი
 ღებულა 1497,2; ვეღარ გაუძელ... შექირებებისა ცეცხლთა და გულ-
 სა სახმილითა ღებასა თ. 1, 23,68,3; შეილო, არ იცი რაზომცა
 გულთა სახმილი მდებია საბა, II, 154, 21; გულს ცეცხლის
 ღება — ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა

ალვად 362,2; მას გულსა ცეცხლი ედების **შეშ** 4044,1; კაცს ვიცა ვულსა საყვარლის ცეცხლი ედება სურვილთა, ის ენას ველარ დაიკერს არჩ. I, 168,268,1; დამაშვარალსა წყაროთათვის გულსა ცეცხლი ედებოდეს ვახტ., 15,40,2; ლონის ძებნა რას უშველის? მე მედებოის ცეცხლი გულად **შეშ** 4677,3.

ალის ღების ღმრთობა: მისმანვე ცრემლმან დაუესის, ვის ედებოდა ვის ალი 1279,2; ცეცხლის ღების ღახება — ოდესცა სწადდეს, დამივისნეს ამა ცეცხლისა ღებანი 1465,3; ცეცხლის ღების განქარება — მოწყალემან განმიქარვა სამუდამოდ ცეცხლთა ღება ომ., 183,3.

ალის მრღება: კვლა საბრალოდ ამიტორდა, კვლა მოედვა ამით. ალი 563,2; წაეიდა, სალიმს მიმართა, მით რომ მოედვა ალია **შეშ** 323,2; გარდისხუწა, ველარ ენახეთ, მას მოედვა ცეცხლებ ალი ფეშ., 519,3; მომინდა საწყალთ ტრფიალთა ცეცხლი მოუდვა, ალები ვახტ., 10,6,1; ცემა იგი დააეიწუა, კვლავ მოუდვა უფრო ალი ბესიკი, 153,30,3; ალის მოგზავნა — შენ გამხადე დასაწყავად, გარ მომეგზნა მე აქ ალი არჩ., II, 390,4; სახმილის მოღება — ვიყო მამედვა დღეს იქით სახმილი მოუთმინარე თ. I, 66, 53,4; მეტის წყენითა სახმილი უშრეტი მოედებოდა არჩ. I, 161,205,2; ძის დასჯისათვის დედასა მიხვდა საქმილის მოღება გურ. 39,90,2; სახმილის მოცილება — სახმილი მოქოღება, თვალნი მზერისდა მიიკერის არჩ., I, 209,624,2; ცეცხლის მოღება — შენი ცეცხლი შეცა ცეცხლად მომედების 742,1; დიაცა და ყმაწვილებსა ცეცხლს მოუდებ, ვითა ბზესა **შეშ** 1569,3; იოსებს ესმა, მოედვა ცეცხლი, სირცხვილთა ალები თ. I, 72,101,1; დაუდგათ რამაზანი და ჩვენგან ცეცხლისა მოღება არჩ. II, 919,4; მომინდა საწყალთ ტრფიალთა ცეცხლი მოუდვა, ალები ვახტ., 10,6,1; ძილო, ძნელად სოფელს კპოვებ, ცეცხლს მოგიდებს, დამწველია დ. თუმ., 102,8; ცეცხლის მოცილება — სეედისა ლაშქარი შემომიხდება, სურვილისა ცეცხლი მომეკიდება დ. თუმ., 31,3; ცეცხლად მოღება — მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებია 1287,4; ნუმკავინ მიჯნური გულის ურჩია, რომელ მისი ურჩობა გულსა ცეცხლად მოედებოდეს ვისრ., 159,1; ხანგრძლად სხვათა კართა ყოფა კაცსა ცეცხლად მოედება არჩ. II, 1055,1; გულს ალის მოღება — დაღამდა. ზააქ დაღონდა, გულსა მოედვა ალია **შეშ** 88,1; მზე ვიხილე კუბოს მქდომი, მან მომიდვა გულსა ალნი მთ., 450,4; გულს ალის ჩაგზნება — მეფეს რა ესმა ამბავი, გულსა ჩაეგზნო ალია **შეშ** 325,1; გულის აღტყინება — ნეტაი, რაცაღა შეილი მეყოლა, ქვეყანისა ბირი არ ენახა და მე მისის სიყვარულითა გული არ აღმტყინებოდა საბა, II, 51,20; გულს ცეცხლის მოღება — ვიროს მგზებარე ცეცხლი მოედვა გულსა ვისრ., 60,27; მას მოედვა გულსა ცეცხლი **შეშ** 1627,2; აწ გაყრისა მგონებელსა

გულსა ცეცხლი მოედების ომ., 172,3; თქმა ვერ ძალ-ედვა სიტყვისა, გულს ცეცხლი მოედებოდა შთ., 1187,4; რა ემისაგან მშობელთ ესმა, გულსა ცეცხლი მოედების თ. I, 30,48,1; ბარამს მამისა სიკვდილი გულს ცეცხლად მოედებოდა შთ., 42,1; გულს ცეცხლის ჩაგზნება — დიდისა სირცხული-საგან გაწითლდა და გულსა ცეცხლი ჩაეგზნა ძმისა სიყუარულისათვის ვისრ., 40,29; ასეთი ცეცხლი ჩამეგზნო გულსა ჩემსა, რომე გენისაგან უმწარეაი რუს., 387,9; გულად ცეცხლის ჩაგზნება — ნახეს დევთა, ეუცხოვა, მათ ჩაეგზნა ცეცხლი გულად შენ 2295,4; გულს ცეცხლის გზება — შეღებულ იყვენ შავითა, მათ გულსა ცეცხლი გზებოდა თ. I, 56,241,2; აწ რა კენა. შეილნი ჩემნი ესრე განმიქარევენ და ცეცხლი გულთა ჩემთა ააგზენ საბა, II₁, 213,16; გულს ცეცხლის შეგზნება — მითხრა რამე საიდუმლო, გულსა ცეცხლი მით შევიგზე შთ., 457,2; გულს ცეცხლის მოგზნება — ქათმის მოშორების ცეცხლი გულთა მოეგზნა საბა, II₁, 141,18; გულს ცეცხლის მოკიდება — ჯაგრიანი ერემლსა ღვრიდა, გულსა ცეცხლი მოეკიდნა შენ 65,3; ანაზღათ უცხოს — უცხოსა გულს ცეცხლი მოეკიდება არჩ. I, 177,343,2; გულს ცეცხლის დაქვესება — ვინცა უქერტდა, ტიროდა, გულს ცეცხლი დაეკვესოდა თ. I, 49,187,2.

აღლის საღმებელი: გამოუხუხენ და წავედით ჩემად საღებლად აღისა 334.2

აღლის სახშილის ღებბა: ნ. აღის დება.

აღლის შრებბა: ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ აღსა 391,2; სახშილის დავსება — ვერ დაივსებდა სახშილისა, იწვის ცეცხლითა ხშირითა 942,2; ფიცხლა დამივსე სახშილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზებისა 1257,2; ვითა დამივსო სახშილი, ეგრე მისიცა კმა დება 1456,4; მისთა მქერტელთა საქმილი, ცეცხლი დაევისოს მგზებელი შენ 1255,3; წამ ერთ ნახეთა დამწველი სახშილი დაევისებოდა ომ. 273,3; დამივსო სახშილი ამბაემან ვის-რამისამან თ. I, 63, 26,3; საქუმილის დაშრება — ამით მცირედითა ცრემლითა დაშრიტე საქუმილი იგი საუკუნოსა მის ცეცხლისაჲ მ. სწ., 136,21; სახშილის დაშრეტობა — მისსა შემყრელსა სახშილი ანაზღად დაუშრტებოდა ომ., 365,4; დაშრტის სახშილი ორთავე, რა ვარდმა ნახის, რა მინა თ. I, 62, 21,2; სახშილის დაშრება — არ დაუშრტო სახშილი, ვის შენს გამოსს ეკიდოს არჩ. I, 203,574,4; მით დამეშრტა საქმილი, რისგანაც გული მეწოდა გურ., 28,5,3; სახშილის შრება — რა მოგერევა, მაშინ იქს მისთა სახშილთა შრეტასა საბა, II₂, 113,9; სახშილის გამოწელება — გულს სახშილი გამოწელდა, პირი ვარდებრ აღუყვავდა არჩ. I, 217,693,1; ცეცხლის ვსება — დაგვიწყნარდი, გვიშველე, რა ცეცხლნი ავსენ 195,2; მისგან კიდე არვის ძალ-უც ამა ჩემთა ცეცხლთა ესება ჩ., 235,4; აწ შეიქენ

ცეცხლთა ვსებით არჩ. II, 953,4; მსწრაფლად მოიღებ, რასაც
 სთხოვ, მეც მომეც ცეცხლის ვსებანი ვახტ., 39,116,4; ცეცხ-
 ლის დავსება — დაიკისო ცეცხლი შემწველი მისითა მან მიზე-
 ზითა 211,4; ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამე-
 სებოდა 47,4; დარბაზს ვიშვებდი, დამეცსო ცეცხლი წვად
 მოუთმინებდი 382,2; მერამე, ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვეავს
 ვულსა მურად 152,3; აწ ვინლა დაავსებს გულისა ჩემისა ცეცხ-
 ლსა ვისრ., 362,19; მისთა მკერტელთა საქმილი, ცეცხლი დაე-
 სოს მგზებელი 268 1255,2; ძმაო, ჩემსა ცეცხლსა რა დაავ-
 სებს რუს., 245,16; აღსრულებოდა, ვეკვთ, რომე კვლავ ცეცხლი
 დაევესებოდა ომ., 343,4; გულსა, მისგან დადაგულსა, მუნვე ცე-
 ცხლსა დაუვესებდა შთ., 714,2; კირნი გაქვარდა, დაიკისო
 ცეცხლი მათისა მწველისა ჩ., 279,3; ჩვენ დაუვსოთ იგი ცე-
 ცხლი რომელიცა მას ედების თ. I, 31,56,3; რა ესე ესმა ამირას,
 ცეცხლი დაეცსო მწველები თან., 1341,3; ყმასა მას მზისა
 ნახვამა ცეცხლი დაუვსო ცხელია თ. II, 89, 727,4; ცეცხლის და-
 შრეტა—მერამე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა
 492,3; დაშრიტეს, ცეცხლნი რომე მწვიდეს 379,2; ცეცხლი
 კაცმან აღაგზნის და კაცმანვე დაშრიტის ვესტ., 43,4; დაუშრი-
 ტა ცეცხლი თვისი, რომელ-იგი აღაგზნეს მთავართა ერისათა სინ.,
 261,7; მისსა ცეცხლსა რა დაშრიტდა რუს., 20,22; და-
 უშრიტა ცეცხლი, გამთელდა სრულად გულისა წყლულობა ომ.,
 415,2; მან მიამბო ტყვის ამბავი, მას დაუშრიტე ცეცხლი
 მგზებრად ჩ., 639,3; ცეცხლის აღის დაშრეტა — მარხვანი სარწმუნო-
 ებით დაშრიტენ აღსა ცეცხლისასა სინ., 114,18; ცე-
 ცხლის შრეტა — რა შემომხედნის, შევხედნი, ცეცხლმან დამიწ-
 ყის შრეტასა 477,2; ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე ამა ცეცხ-
 ლთა შრეტისა 482,3; აწ გაეხედით ბედისაგან ცეცხლთა
 შრეტით, კირთა ლხენით 1344,4; მე სიცოცხლე არ მეგონა,
 შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად 890,3; გამიმრთელდა გული
 წყლული, აწვა დავეც ცეცხლთა შრეტად 1107,4; ომაინის
 გონებითა ცეცხლთა სკირდა არა შრეტად ომ., 311,3; ცეცხ-
 ლის დანეღება — მან სამართლით დაუნეღის მძლავრთა ცეცხ-
 ლი ვისცა სწვიდა შთ., 499,3; ცეცხლის ნეღება — მართალს მერტყვი
 თუ ცივი სიტყვითა ცეცხლსა ჩემსა ანეღებო რუს., 485,34.

აღის ცეცხლმებრ მოღვაძე: ვა, რად დაგვეწვენ, უცხომ უცხო რად
 მოგვიდეც ცეცხლებრალი 961,4; გულს სახმილებრ მო-
 ღვაძე — მეტად, გლახ, ჩემსა საბრალოს გულსა სახმილებრ
 მოედოს. არჩ. I, 189,445,2.

ალმასნი გული: მისსა ვით გასძლებს გაყრასა გული აღმასნი,
 წოთბილი 320,4.

ალმასნი ხრმალი: აქა ძეს... ჯაქვ-მუზარადი, აღმასნი ხრმა-
 ლი ბასრისა 1355,2.

ალუის ღაშლა: რა კმნეს, ალუა რაღ დაშალეს 971,2.

ალუის მორატება: ესე გვესმა, მოვადეგით, ალუად გარე მო-
ვერტყენით 1215,3.

ალუის შემოტარება: მგრგელოვ მინდორსა მოსდგომოდეს, ალუად
გარე შემოტარედეს 72,2; ყოვლგნით ალუა შემოეკრა,
მოსდგომოდეს გარე ველსა 965,3.

ამას არ უნდა მისხანი: მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მი-
სანნი 1466,2; აწ ამას იქით მოკედების, ამას არ უნდა მისანნი
თ. 1, 22,60,4; მღრთით კეთილად არს შესაქმე. ამას არ უნდა
მისანნი ვახტანგიანი, 118,4; ვიცი, უთუოდ დავეიწყდი, ამას არ
უნდა მისანნი დ. სააკაძე, 282,6.

ამო სპუნბარნი: გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბ-
ნარია 34,4; გვერდსა დაისვა, დაუწყო მას ამო საუბარია
ომ., 77,1.

ამო ტაროსნი: მიხედეს ტაროსსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ვლი-
დიან 1048,2; ეამნი ტბილნი, ტაროსი გვაქვს ამონი ბესიცი,
176,4,1.

ანდამატის კვირი: გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა
კვერითა 1329,3.

ანდამატის მოცემა: აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ 778,1.

არ-ღაზრული ვარდი: ვარდნი ენახენ არ-ღაზრულნი
1439,1; არ-ღაზრული ვარდი — მუხმან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით
ენან არ-ღამზრალი 1422,4; დაუმუნარი ვარდი — კოკობი და უფურ-
ქენელი ვარდი დაგხვდენ დაუმუნარი 121,4; საპოთხესა შინა
ხარ, შენი ვარდი დაუმუნარია ვისრ., 123,24; დაუმუნოველი
ვარდი — ვარდი ენახე შიგან შეუენიერი, ზაფხულისა და ზამთრის
დაუმუნოველი ვისრ., 131,11.

არ-ღაზრული ვარდი: ნ. არ-ღაზრული ვარდი.

არსთა მხადი: მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა
1038,1; არსის დამბადე — იტყოდა: „არსის დამბადე შენ ხარ,
მზისა და მთვარისა“ შფმ 1105,1; არსთა შემქნელი — არა ვიდუმნე, ლა-
ზოდ ვიდუმნე, მადლობა არსთა შემქნელისადა არჩ. 1,
243,91,8.

არსთა მხადი: იტყვის: ღმერთო, რა შეგცოდენ შენ, უფალსა არ-
სთა მხედსა 851,1; თუ რაეა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა
მხედისა 1129,4.

ას-კეცად ცრემლის ღინება: გულ-ამოხეინივით დაიწყო ას-კე-
ცად ცრემლთა ღინება 245,2; ას-ნაყეცი ცრემლის ღინება —
მას მზეს ჩემით სიბრალულით ას-ნაყეცი ცრემლი სდინდა
მთ., 1505,3; ას-ნაყეცი ცრემლის გარდმოცვივნა — ქალსა ცრემლი
გარდმოსციევიდა ას-ნაყეცი, ბევრის-ბევრად 269,1.

ას-ნაყეცი ცრემლის გარდმოცვივნა: ნ. ას-კეცად ცრემლის ღი-
ნება.

ას-ნაპეცი წმარო: ას-ნაპეცი წყარო ვნახე ცრემლთა, მისთა
მონაწთომთა 1127,4.

ალმაფრენის დაშლა: კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის
ალმაფრენასა 1185,4.

აჯის მართება: რაცა აჯა ჩვენ გეშართებდა, იგი თქვენ-
ვე ვიჯია 1047,3.

აჯის შესმენა: ღმერთო, ნუ გამწირაუ, აჯა, ჩემი შეისმინე
347,1; გამკითხველო, გამკითხე, აჯა ჩემი შეისმინე 855,3;
აჯა ჩემი შეისმინე, სადიდებლად მისკენ მარე მთ., 329,3;
შენს მადლსა, შენვე გვიბრალე და შეგვიცხმინე აჯები თან,
314,4.

ბ

ბაბეთა ბახვმა: ვერ გაახენა სასაუბროდ მან ბაგენი, გა-
ამყარა 303,3.

ბარის ხვამილი: მზემან გაყრითა დაგაქნე, ვითა ყვაველი
ბარისა 404,2.

ბარის ხვამილის შორწმება: ვითა ზე-მთისა წყარომან, მორ-
წყე ყვაველი ბარისა 1340,3.

ბასრი ხრმალი: ჩემი გაკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბას-
რი, შუბი ახე 432,3; თუ შენი ჯრმალი ბასრი არის, არცა ჩე-
მია ბზისა ვიხრ., 118,20; ჭავრით თუალნი დაუბნელდეს, ბასრი
ჯრმალი ამოქეჩა შმშ 1992,3; ოდეს ისარს ხმალი ბასრი შეხ-
ვდეს, ვეღარ ღონით ისროს ზესიკო, 128,27,4.

ცრემლის ღვრ: ეამი ვერ ეპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისა გან 1135,1; ვერ წაგიტან რაზომსამცა ცრემლსა ღვრიდი 773, 4; აკოცებდა, სიხარულით ცრემლსა ღვრიდა 665, 2; ავთანდილცა მასთანავე ტიროდა და ცრემლსა ღვრიდა 903,1; მინდორს ენახეთ ტარიელი, ცრემლთა ღვრიდა, ველთა რწყვიდა 981, 2; რა ექმნა, რა მერგებისა, აწვიმებდა, ცრემლთა ღვრიდა 1070,4; სულნი სრულად არ ამომხდეს, რად გიკვირს, თუ ცრემლსა ვღვრიდი 901,4; ეს ამისად ნიშნად ემარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ღვრიდე 926,3; მართალა, შენი გამყრელი თვალი თუ ცრემლსა ღვრიდესა 1004,1; გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა 1433,2; ავთანდილცა მასვე თანა ტიროდა და ცრემლი ღვარა 660,1; შერმადინცა დააბრუნევა, საბრალომან ცრემლნი ღვარა 803,2; ფრიდონ გამოშევა, წავედით, ორთავე ცრემლნი ეღვარენით 640, 1; ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს 1407,1; ჭავრიანი ცრემლსა ღვრიდა, გულსა ცეცხლი მოეკიდნა ზემ 65,3; გამოიჭნურდა გული მისი, ცრემლთა ღვარსა ვერა სთმობდა შთ., 281,1; დაბინდნენ თვალნი ცრემლის ღვრითა, დღეს ვზი მწარესა ბესიკი, 173, 2,1; ცრემლის სხმა — ღრუბელი მისსა ცხენსა ზედა ქათურსა თოვდა, ცა ცრემლსა ასხმიდა ვისრ., 246, 31; ცრემლთა ჩქეფა — ტირს სიხარულით იგი ყმა, ჳმა ისმის ცრემლთა ჩქეფისა შთ., 533,2; ცრემლი აჩქეფა თვალთაგან მინდორთ სალტობლად მოსხმული თან. 23,3.

ცრემლის უბრა: ნ. ცრემლის ღვრა.

ცრემლის ცრემლს მომბაბაბა: მო, ზეალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა 947, 1.

ცრემლის წადენა: ავთანდილსა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახე, წა 650, 3.

ცრემლის წმინდა: რა ასმათმან დაინახა, მოეგება, ცრემლი სწვთების 833.1.

ცრემლის წვიმა: ცრემლსა ვითა მარგალიტსა სწვიმს ვარდისა დასანაზოდ 140, 2; ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა 963, 4; ავთანდილ მალეით ცრემლსა სწვიმს 1241. 1; რომე აქვს წვიმა ცრემლისა, შეუშრობელად ცხელისა ზილი, 8, 4; მისის თვალისა ღრუბლითა ცრემლისა წვიმამა ცვარვა დაიწყო საბა, II, 283, 31; ცრემლთა წვიმილი—შენ დამხსენ ცრემლთა წვიმილისა ომ., 303, 3.

ცრემლის წრვაება: ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერიწურებებს 755, 1.

ცრემლის წმარო: ალვასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები 1323, 3; ცხელი სდის წყარო ცრემლისა 1560, 3; ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყაროა ცრემლთა მ. სწ., 229, 28; ვინ სცეს.. თუალთა ჩემთა წყაროა ცრემლისა მ. იერემ., 9, 1; უსწრობდა წყარო სისხლის წყაროსა ცრემლთა-სა ომ., 24, 13; ეუდად იდენ ცრემლთ წყაროსა ომ., 119, 3; ერთმან თქვა ვუზამ პასუხსა, ვადენ ცრემლისა წყაროსა დ. სააკიმე, ლექს., 280, 13; ღვარსავით ცრემლთა წყარონი მკერდთა და მუხლთა უსველებდა საბა, II, 49, 15.

ცრემლი შეუშრობელი: მე უფრო მდინდეს თვალთაგან კვლა ცრემლი შეუშრობელი 634, 4; ცრემლი შეუშრობელი—სადაიგი იყენენ ცრემლი შეუშრობელი და მჭურვალენი მ. სწ., 92, 16.

ცრემლი სოფელი: ნ. მუხთალი საწუთრო.

ცრემლი გონებაში ჩამბარდნა: თქვეს, თუ „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა“ 58, 1.

ცრემლი ბნელი: მე შენი ვარ, ნუ მოკვდები, მაგრა ბნელა ცრემლი მძულსა 369, 3.

ცხელი ცეცხლი: აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწვავს ცეცხლი ცხელი 654, 4; მე თუ ვიტყვი, დამწვავს ცეცხლი ცხელი, შემიქმნა ალაღ, მურად 297, 4; ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დავწვა, გულო, ასჯერ დადაგულ 304, 4; მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა 257, 3; მის გამო კონა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა 900, 2.

ცხელი ცეცხლის დავსება: დამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არ ემარე 1518, 2; ცეცხლი დამივსენ ცხელანი 1237, 3; ჰქნათ რა საქმე მოსაქმარი, ცეცხლი ცხელი მით დამივსოთ მთ., 889, 4. ნ. აგრეთვე აღის ვსება.

ცხელი ცეცხლის დება: მიველის და ვერ მისრულვარ, ესე მიდებს

ცეცხლსა ცხელსა 727,2; სხვამან ვერავინ შემატყო დება ცეცხლისა ცხელისა 355,2; მას უკანით გაუწყვედლად დება მკირდის ცეცხლთა ცხელთა 1202, 2; ცხელი ცეცხლის მოდება — „ვაგლახ მეო, საყვარლო“, ცეცხლი ცხელი მოედების ჩ., 120,2. ნ. აგრეთვე აღის დება.

ცხელი ცრემლი: ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა 150, 2; ასმით წინა ჩამომიძლეა, ჩამლიოდა ცრემლი ცხელი 540,2; ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სინდნი 772,1; ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ლაწენი თეთრნი აახეწნა 751, 4; ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხან ცრემლითა ცხელითა 280,2; სულთქვამს, იკითხავს უსტარსა, ალტობს ცრემლითა ცხელითა 1267,4; ფატმან, უსამ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა 1313, 1; ვტირი ცრემლითა ცხელითა 990,1; ნულარ უკვრეტო ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთათ მონადენთა 643, 2; მარადის შევისუარი ცრემლითა ცხელითა მოქც., 99, 29; ტირის დედა ზაალისა, მოსდიოდა ცრემლი ცხელი 868 784,4; მოსდიოდა ცხელი ცრემლი არ თუ ნელად ომ., 188,2; ქალი დია სევდის ქვლით ცხელსა ცრემლსა აეჭმინა ზილ., 130, 2; ტიროდა ცხელის ცრემლითა, ჯმა ყმისა ცას მისწვდებოდა მთ, 42, 3; ცხელის ცრემლით ავატირო მე სოფელი ჩემი მტერი ჩ., 4, 2; მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით ზეხაიკი, 47, 5, 5.

ცხელი ცრემლის გარდმოთრება: თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა 622,3.

ცხელი ცრემლის გარდმოქარება: მისნი სპანი გულ-მოკლულნი ცრემლსა ცხელსა გარდმოქარიდეს 172,4; თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა 158,2; მერმე სულთქენა, დაიზანა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარა 303, 4; ავთან-ლილსა აეტირნეს, გარდმოყარა ცრემლნი ცხელნი 1125,2; ცხელი ცრემლის ჩამოყრა — ცამან ვითა, დაიქვენა, ცხელი ცრემლი ჩამოყარა 868 348,2; ცხელი ცრემლის დენა — შექმნოდათ სიხარულითა დენა ცრემლისა ცხელისა ჩ., 295,2; ხელს მოვაგონე ხელქმნელი ცრემლი ვადინე ცხელებით. I, 16, 15, 2; ცხელთა ცრემლთა დამოდინება — სულთ-ითქუნა სიღრმით გულისათ და ცხელთა ცრემლთა დამოდინებითა ეწონსმოძლ., 134,5; ცხელი ცრემლის გარდმოჩქეფა — თვალთათ, ვითა საგუბარით, ცხელი ცრემლი გარდმოჩქეფდა 398,2.

ცხელი ცრემლის გარდმოჩქეფა: ნ. ცხელი ცრემლის გარდმოყრა.

ცხელი ცრემლის მოწურება: თვალთა ხელი უუვივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა 92,1.

ცხელი ცრემლის ღვრა: თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ, აწ ცხელსა ცრემლსა ვღვრი არა“ 176,4; ყმა მტირალი შეებრაღა. ამად ცრემლნი ცხელნი ღვარნა 242,1.

ცხელი ცრემლის წაბრო: მან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა 1218,3.

ცხენთა ნაბარზალი: ნუთუ ღმერთმან არ გაგვეარნეს ცხენთა თქვენთა ნატერჯალსა 644,2.

ცხენის ბაპუხლვა: ცხენი გავექუსლე, იქმოლა შამბი ხმასა და ხრიალსა 620,1; ცხენი გავექუსლე, გაეაგე წაგვრა ხრელითა და მკლავითა 1011,3; ესე უთხრა და წავილა, ცხენი გაქუსლა ღეზითა 211, 1; მე პილოტანმან სამანდი გავექუსლე ჩემი ცხენია შგნ 1499, 2; ცხენი გაქუსლა და მას კაცს შუბი შესცა ომ., 116,8; ცხენის გამოქუსლვა — ცნეს თუ, მოვიდა ლაშქარი, მათ გამოქქუსლეს ცხენია შგნ 1506,3.

ცხოველი ღმერთი: ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არეინ შობილა 862,4; ისრაელი მო-ვითარ-აქცია ღმერთისა ცხოველისა ევტ., 38,25; აღიარეს ჭუარცქემული იგი ქეშმარითად ძელ ღმერთისა ცხოველისა მოქც. 151,40; ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა შგნ 11,1; მან იცის ღმერთმან ცხოველმან, რომელ თქვენმა სიყვარულმა და სიტკობებამან ჩემნი მშობელნი დამავიწყნა რუხ., 89, 12; ჩვენთა ცოდეთა პასუხსა ღმერთი არ გვიზამს ცხოველი ომ., 25,1; ნუ მოიშორებთ, გიყვარდეს, გაფიცო ღმერთი ცხოველი ჩ., 281,3; ცათა მპყრობელი, შეუფლობელი, ვითარ უარყვეს ღმერთი ცხოველი არჩ. I, 230, 25, 4; ცხოველი სული—მამა ხარ, სული ცხოველი, ძე თანაარსი ქებული თ. I, 99, 1, 3.

ცხროს მოკიდება: მომიკიდა ცხრო და თრთოლა 577,1.

ძ

ძალის მოკლება: მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდე ბის 771, 1.

ძალის მოცემა: ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქეს, მივსტე გონება 6,2; მომეც ძალი და მოთმინება ლუკიან., 11, 23; მომეც ძალი მონათა შენთა მისუკ., 42,7; ენასა უძლურსა მერტყელებად მომეც ძალი შოდრ., 302, 1.

ძალის ძაღილი: კაცო, ძალსა ნუ იქცადი 1034,1.

ძალის შეწმენა: ვეკვ, ჩემი სისხლი არ შერჩეს, ძალი შესწევდე ს ქადილსა 600,2.

ძაღლის ყეფა: ვარდთა ნახვა გაგაკრობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა 925, 4; არეინ იყო მისი სწორი, ვით პილოსა ძაღლი ჰყეფდო შგნ 2818, 2.

ძველი ცმცხლი: მას მულამ ძველი ცეცხლი სწვავს 986,3

ძველი ძირის გაახლება: ჩვენ ვერ-კერეტა საყვარლისა ძირსა ძველსა გაგვიახლებს 821,4; ძველი წყლულის გაახლება—ყმასა მზემან მისით კერეტით გაუახლა ძველი წყლული შთ., 374,3.

ძირის აღმხვრა: სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა 940,3; ძირით ამოფხვრა — აწ თუ ჩვენ იმას ძირით არ ამოფხვრით და ფესვითა არ ამოვაგდებთ, იცოდით მაღლისა ტახტისაგან ორნივე დაცარიელებულვართ შგნ II, 409, 17; ძირით ამოგდება — შენიცი გულის ნადები, ნუ ამოგეავდებ ძირითა ომ., 41,3; ფესვით

ამოგდება—აწ თუ ჩვენ იმას ძირით არ ამოვფხვრით და ფესვი თა არ
ამოვავდებთ, იცოდით მალისა ტახტისაგან ორნივე დაკარიელგებულ-
ვართ შნმ II, 409, 17; ძირის გამოთხრა — არჩიევს: „გორის ციხესა გა-
მოუთხაროთ ძირებნი“ გურ., 70,314,3.

ძლევის ცემა: შენ დამიფარე, ძლევამეც დათრგუნვად მე სატა-
ნისა 2,2; ძლევის მოცემა—აწ ვინათგან ღმერთმან ძლევამოგცა...
ღმერთსა მადლი უნდა შევსწიროთ რუს., 63,2.

ძნელი სპჰის ბაგოგება: ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქ-
მე გამოაგოს 212,3.

ძნელის ბაბღვილება: სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაა-
ღვილდები 1308,2.

ძოწუღლთა ბაგოგება: ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწუღლნი
გაგვიფლასდენ 533,2.

ძოწის ბაგე: მან დამწვა ცეცხლთა დაგითა, ვინ მარგალიტსა გარეშე
მოსტავს ძოწისა ბაგითა 950,2.

ძოწის ბაგოგება: გაღმდის, ძოწი გააპის 1324,2.

ძოწის ძარი: მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ღიამან
1311,4.

ძოწის-ფერი ბაგე: მისთვის სძრვიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძო-
წის-ფერთა 883,2.

ძოწილას მიცემა: ფატმან რა ნახა, შეშინდა, ძოწის და მიეცა
ძოწილასა 1088,1.

ძოწის ბაბიციება: ვიცი, მეტი არა გინდა, ძლვენნი რადმცა გავ-
ციცხენი 639,3.

ძოწის ძაღრება: ძლვენნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი და-
ვაძვირო 142,4.

ძოწის მოღება: მოიღეს ძლვენი უსახო ფრიდონის არ-ალქატი-
სა 1451,1; მერმე მოვიდა მოციქული არსლან-ხანისა მზახალთათვის და
მოილო ურიცხუი ძლვენი ვისრ., 32,24; ადგეს ყოველნი და თაყვანის-
გვეცეს და ძლვენი მოიღეს აურაცხელი ა.-ღარ., 352,24; ძლვის გაგ-
ზავნა — ფეშანგს წინ ძლვენი გავგზავნო, ბელაქსა შეეამკობდია
შნმ 1961, 2; ფეშქაშის მოღება — მერმე მოიღენ ფეშქაშის სიმრავ-
ლე მიუმხდარისად ომ., 135,2.

ძოწის შემძვნა: წინა მიისვა, შეიძლენა, ძლვენი მიართვა რო-
მელი 1153,3.

ძოწის ძლვნა: რა შემოვლენ დიდ-ვაჟარნი, მას ნახვენ და ძლვენსა
სძლენიან 1057,1; ყმამან უძლენა ძლვენი ტურფა, მიმღებელთა
თქვეს, თუ „ვარგა“ 1066,2; კვლა უძლენა ძლვენი ორთავე 1544,1;
უმასპინძლა, ძლვენნი უძლენა შევნიერსა შევნიერნი 761,2; დღე
მოვიდა ნავროზობა, დედოფალსა ძლვენი ვსძლვენი 1112,1; დე-
დოფალსა ძლვენსა ვუძლვენი, მდიდარი თუ გლახა ვინა 1111,3;
მივაზირებ, წავალ, ვნახავ, ვუღარბაზო, ვუძლენა ძლვენი 1151,2; ქე-
ბა შეასხიან და უძლენიან ძლვენი ღიადი ამირან დარეჯანის ძესა
ა.-ღარ., 359,20; ძლუნის მორთუმევა—და მოვიდეს და ძლვენი მო-

ი რ თ უ ე ს მას, რომელი-იგი ჩუენთვის დაგლახაქნა სინ., 15,33; მ ო ა რ თ-
ვეს ძღუენი დიადი ა.-დარ. 361,7; ძღენის ძღენობა — შეიქმნა
ძღენობა ძღვენისა, მათისა შესამსგავსისა 1536,7; წიგნსა სწერლა
ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღენობდი 154,3; მისი გემართებს
მოკიდება, სამსახური, ძღვენთა ძღენობა ომ., 276,2.

ძღენის ძღენობა: ნ. ძღენის ძღენა.

წ

წადილთა ნება: ნ. გულის ნება.

წადილის ასრულმბა: ნ. გულის ნების გასრულება.

წადილის მიხვდომბა: ნ. ნდომის მიხვდომა.

წამლის ღადმბა: ავთანდილ დამღვა წამალი მისგან თავისა და-
რებით 1507,2.

წამლის ძმბნა: ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უიცისა.697,3; მომინდა მის-
თა წამალთა ძებნა ზღვითა და ხმელითა 990,3; აწვეძებ მისთა
წამალთა, ვიქმ იქით-აქათ ბრუნეასა 991,4; წამალსა ტარიელისსა
ეძებს ყოვლითა ღონითა 1015,2; მისსა წამალსა ეძებენ,
ვის აქეს ცრემლითა წყლულია ზილ., 25,2; შენ შენს წამალსა არ
ეძებ, სწავლებით არ ისწაუები არჩ. I, 203, 573,3; წამლის ძიება—თანა-
მაც ზრუნვა მისთვის და ძიება წამლისა მისთვის ზალ., 110,25.

წამწამთაგან ბუქის ბუქმბა: მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამ-
თაგან ბუქი ბუქდა 974,3; წამწამთაგან ქარის ქროლა — იღხენდა
და თამაშობდა, წამწამთაგან უქრის ქარი ჩ., 344,1; წამწამთა-
გან ბუქის მოქროლა — ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამ-
თაგან მოქრის ბუქი 1131,4.

წამწამთაგან ბუქის მოძროლა: ნ. წამწამთაგან ბუქის ბუქება.

წამწამთა ნიბანი: მისთა წამწამთა ნიბანი ქრის, ვითა ქარი არა-
ვი 1499,3; ზილფს ფანჩავს წამწამის ნიბანი წამ-წამ[ა]დ წამონაქროლი
არჩ., I, 129, 16, 1; წამწამთა ბუქი—ყვეელთა ყვეილთა დამქნობი მისის
წამწამთა ბუქია ზილ., 154,4; მამინ მზე მისი სულთქმიდა, მოქრის
წამწამისა ბუქები ბ.-გულ., 961,3.

წამწამთა ძოხნი: ვარდისა ბალსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა
ქოხისა 1248,4; წამწამთა ქოხი ქვეა კარვის სამყოფელად ეშუ.,
11,4.

წამწამთა ჳარნი: მას თინათინის გონება ჰკლვიდის წამწამთა ჳა-
რისა 40,4; წამწამთა რაზმი — წამწამთა რაზმმან დაფარა თვალნი
გიშრისა, დალულა არჩ. II, 386,1; შავთა ჳარი—ციმციმი და შავთა ჳა-
რი ნუ იბრძვიან, დააწუნარე ზილ., 246,4; წამწამის რემბა—ეინ გიშერი დაა-
ჯოგა და წამწამი არე მარე, გვალე, შეგყრი 1518,3.

წამწამის რემბა: ნ. წამწამთა ჳარი.

წარბი ტვერი: ბროლ-ბალასშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი
ტვერი 685,3; წარბის ტვერი — წარბისა ტვერი ბროლზედან
ორივ, გლახ, მოემტვერება თ. I, 49, 191, 4.

წახდომილი მზა: თავნი მიესცნეთ აწ ღიმისა, რათგან მიხვდა და-
კარგული ლომი მზესა წახდომისა 1445,3; ადგე, წავიდეთ საძებ-
რად მის მზისა წახდომისად 1337,2.

წდომილი გული: მათთა მკერეტელთა გულნი მცა ესხნეს წდო-
ბილნი 1554, 4; წთობილი გული — მისსა ვით გასძლებს გაყარასა გულ-
ი აღმასი, წთობილი 320,4.

წვივის დანაღვება: იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ
ვარდი აზრა 529,2.

წვის გაბახვება: აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი
წვანი 1012,2.

წთობილი გული: ნ. წდომილი გული.

წუხილს მიცემა: ზარი მის ყმისა წასლვისა გახდა, მიეცნეს წუ-
ხილსა 1009, 1.

წუალობის გამწარება: ტყბილი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე
გამემწარნეს 111,1.

წუალობის მთოველი: პატრონი ჩემი გამზრდელი... ცა წყალობი-
სა მთოველი 847,2; მობრუნდა რისხვითა ცა წყალობისა მთო-
ველი 2917, 3; დღენი გარდავლეს, ყმა ეტყვის: ზარ წყალობისა
მთოველად ბ.-გულ., 705,1; იგ იქმეს კირთა მკურნალად, მათხედ წყა-
ლობის მთოველი მთ., 1794,2; წყალობით მთოველი — თქვენც
კარგა მპატივებდი, — ცა წყალობითა მთოველი თბ., 19,4.

წუალობის მოცემა: ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან
ზეცით შესახულსა 1457,2; იგი მოგცემს წყალობასა მისსა, ზე-
ციით მოგვიქუხებს 625,3; აწ ღმერთმან მოგცა წყალობა 1438,3;
მოგცაო ღმერთმან წყალობა ომ., 406,2; წყალობის მონიჭება —
აწე კვლადცა კურთხეულმცა არს იგი ღმერთი, რომელმან მოგვანიქა
ესოდენი წყალობა რუს., 348,34; წყალობის მოღება — ესდენი წყა-
ლობა მოიღვე ჩემზედა, რომე ესდენი წყალობა მიბოძე, და ვინ იცის,
თუ კვლავე რასდენსა წყალობასა შენსა მოველიო რუს., 350,26.

წუაროს თმალი: თვალათ, ვითა წყაროს თვალი, ცრემლი ველ-
თა მოადინეს 938,3; წყაროდ დაბეჭდულად ამისთვის გიწორდა შენ, რამეთუ
მდინარე იგი ცხოვრებისა შენგან გამოვიდა და განავსო ყოველი სოფე-
ლი და თუალსა მის წყაროასასა არა დააკლდა ყოვლადვე ხინ.,
205,5; წყაროსა თუალი სიბრძნისა აღმოეცენა მომრწყველად ნათე-
საეისა ჩუენისა ცხ., გ. მთწ. 294,29.

წუენის კაღრება: ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი,
ვერცა მპარავი 307,3.

წულიანი ლაღობა: ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა
წულიანი 1087,1.

წყლის ზაველი: რა წყალი ნახის, გარდახდის, უკვერტდის ქაელსა წყლისასა 830,2.

წყლულთა ბაქივება: ამით უფრო დამაწყულთა, არა წყლულთა მიაკიმდა 512,4; წყლულთა განკურნება — მითხარ, ვინ მოგვა წამალი თქვენ წყლულთა განკურნებისა 268 5108,3; ფოთლად გასხია წყალობა, განკურნე ჩემი წყლულია ვახტ., 37, 102,4.

წყლული გულის გამრთილება: გამომრთელდა გული წყლული, აწყა დაევე ცეცხლთა შრეტად 1107,4; გული ჩემი წყლული გამომრთელა ვისრ., 81,26; გამომთელე გული წყლული, ანუ უფრო დამიწყულლე მთ., 183,4; მერაბს ესმა ცოლისაგან, გაეკურნა გული წყლული 268 1636,1; წყლული გულის დაამება — დაუამა გული წყლული, აგრე გაეს, რომ არ შესცოდა ფეშ., 725,2; წყლული გულის წამლება — მოდი, კუმენვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო 104,3.

წყლული გულის ბარკინება: მანვე ქმნა და მო-რე-ვეჯობდი, გული წყლული გაეარკინე 347,4.

წყლული გულის მომბიკინება: გამოძრწა და გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკიენებს 752,2.

წყლული გულის წამლება: ნ. წყლული გულის გამრთლება.

წყლულის ბანაქრნება: წყლულსა, მისგან დაყოდილსა, მასვე ძალ-უც განკურნება 1440,4; დმერთსამა ვით არ შეეძლო ეკლა განკურნება წყლულისა 918,3; რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა 692,4; წყლულემათა განკურნება—ქადაგა ქეშმარიტებამ, განკურნა წყლულებანი ხინ., 50,8; წყლულის კურნება—ფირან, ამ წყლულსა დღეს ჩემგან არ ეკურნების 268 2592,1; წყლულის გამთელება — ვისის სული ვისაც ეცემოდა, მკუდარსა გააცოცხლებდა და წყლულსა გაამთელებდა ვისრ., 99,22; ან წაეგო თავი ჩემი, გავიმთელო ანუ წყლული მთ., 432,4.

წყლულის დაფუშება: ქალმან შეემან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა 572,4.

წყლულის დაჩინა: ნუ დაიჩენ, ლომო, წყლულსა 369,2; წყლულის ჩნება—ეგ სამხრე მისეული, შენ გაჩინა ვისგან წყლული, რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს 885,3;

წყლულის გამრთილებაელი წამალი: შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელბელი წყლულისა 1013,4.

წყლულის მბაქება: მომეგონოს მოშორება, მემატების წყლული წყლულსა 1293,3;

წყლულის მიზაზი: ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე აეგების 298,4.

წყლულის ტიკვილი: ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი გტკივიან 1383,2; სიციხე სწევას, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორკელვე სტკივიან 1334,4; მას თურე წყლულის სტკიოდა 585,2.

წყლულის ჩნება: ნ. წყლულის დაჩენა.

წყლულის წამალი: მაკრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა 271,2; მე თქვენგან ვოვე მოკვდავმან ჩემი წამალი წყლულისა 1455,4.

წყლულის წულუღა: მართალი ვარ, გამოიყენე რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა 948,4; თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულე 866,4; მაგრა შენცა ნუ აგრე ხარ, ნუ იწყლულე ახლად წყლულსა 892,2.

წუნარი სიტყვა: ნუ მოჰყევ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვასა წყნარისა 66,4.

წუნარი მცემა: თვითო აივსეს ჰიქები, მივლენ ქცევეითა წყნარითა 59,2; წარდგენ წყნარისა ქცევეითა და სალაში გარდაიხადეს რუს., 64,30.

წუნარი ცნობა: თავ-მოდრეკილი დარეკით ქვე ზის ცნობითა წყნარითა 1169,4; აყოცა მისთა მეშველთა ლაღმან ცნობითა წყნარითა 1409,2.

წარმოს დათმობა: დათმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა 27,4.

ჴ

ჴირთა ბრ-დაჩენა: არს პირველი მიჯნურობა, არ-დაჩენა ჴირთა. მალეა 27, 1.

ჴირთა ბაღე: წყნაო ჴირთა ბაღე 806,2; თუცა ჴირი ვისგანმე მოსცემია, მან მასცა ჴირისა ბაღე აუბას ხაზა, II₁, 159,27; გულსა ჩემსა დაჴერილსა უკუმოსხენ ჴირთა ბაღე ბ-გულ., 696,2.

ჴირთაგან თამის ბაძრძალვა: ვერ იტყოდა ენა ჩემი, თავი ჴირთა გაეცაკრძალე 1276,2; ჴირთაგან დაცვა — დამიცევე ამა ჩემთა ჴირთაგან ომ., 23,22.

ჴირთა ბარდუხდელობა: აწ, შვილო, ღმერთმან თქვენ მოგცეს... კვლა ჴირთა გარდუხდელობა 1531,2.

ჴირთა ბაცხადვა: იუბნეს და გააცხადნეს თავის-თავის მათნი ჴირნი 914,2.

ჴირთა დაბუღება: გულით ჩემით სიხარულნი აჴებერენ, ჴირნი დაბუღენ 187,3.

ჴირთა დათმობარი: ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი; ხარ ვინათგან აქანამდის მავა ჴირთა დამთმობარი 255,3.

ჴირთა თმინა: ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჴირთა თმენად 691,3; თვითთა გულსა იმაგრებდა და ეცდებოდა ჴირთა თმენასა რუს., 18, 24; სახე მომეც ჴირთა თმენად იგი შენგან დახატული ომ., 124,4; ჴირის მოთმინა—ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჴირნი მომითმენიან 233,1; მე მოვითმენ ყუელასა ჴირსა ამისგან კიდე, რომელ აბეზარობასა შენგან ვერ გავსძლებ ვისრ., 244,30; რად არ მოვკვდი, ვეპე რომ დამგმო, რომ მე ჴირი მოვითმინე შთ., 489,4; რა მიზეზი გაქვს, ესეთსა ჴირსა მოითმენ და შავისთანას

ძალასა თავს იდებო საბა, II₂, 35, 16; ქირის გაძღება — მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ქირსა გასძღებს 904,2; ვინცა გასძღნა ქირნი ჩემნი, ანუ ვინცა შეეცადა 272, 3; შენ ნაზი ხარ, ქირსა ვერ გასძღებ ვისრ., 135, 21; ვითა გავსძლოთ ყუელა ქირი — ტყუობა და შექირება შშმ 2014,1; თქვენგან მომხვდა ნაცულად ლხინი, რაზომ ქირნი გამიძლია შთ., 1441,4; ქირის დათმობა—მაგრა თუ ქირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია 954,4; რა ქირნი დასთმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ხელისა 988,3; მტკიედ დაუთმოთ ქირთა და განსაცდელთა აბიბ., 110,28; დაესთმოთ ქირი აქანამდის, უამი სოფელს თვალსა უგებს შშმ 3698,1; მე სოფლისა ლხინთა მზემელსა, კვლაცა ქირნი დამითმია შთ., 1413,2; დაესთმოთ ქირი სოფელს ყოფით, ტყუდ ვიყოთო მარტო თანა ფშ., 331,4; ქირის დათმენა — მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს, რაცა ქირი დაეთმინა 678,3; სიქადულ მონაზონისა არს დათმენა აქ ქირსა შინა მისსა ეფრ. ახ., 19, 10.

პირთა მალვა: არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ქირთა, მალვა 27,1; მეტად უარეა არა-თქმა და ქირთა მალვა 405,2; შეეკმენ სმა და ნადიმობა პატივთა და ქირთა მალვად 362, 4; დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ქირთა ვერ მალვიდა 1070,3; მოეთმინის მას ეგზომნი ქირნი, სქირდის ქირთა მალვა შთ., 1699,2. ნ. აგრეთვე ქირთა არ-დაჩენა.

პირთა მთმომ გული: გული—უამ-უამად ყოველთა ქირთა მთმო, ლხინთა მნდომელი 709,2.

პირთა მოთმენა: ნ. ქირთა თმენა.

პირთა მომალხმენელი: ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ქირთა მომალხმენელი 1238,2.

პირთა მოპოვნება: გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ქირთა მოპოვნებად 509,4.

პირით აზნება: ვაგლახ მე, შენცა აგაეყე ქირითა 1438,2; ეეკე, რომე ჩემთა ცოდეთა შენცა აგაესონ ქირითა 1096,3.

პირის ატბანება: ქირი ბევრჯელ ვაბთასი, ლხინი ჩემი ვაერთხელი 540,3; თავთა ქირი უათასეთ, რადმე უშვიდეთ, ანუ ურვეთ 631,4; აქა მხეც-ქმნილი ტარიელ ტირს, ქირი ეთასეების 490,1.

პირის ახრება: ბევრ-ათასნი ქირნი ამან ამიხოცნეს 1149,1; ქირნი მისგან აღიხოცნე, სიხარული აღიადე ბ-გული, 925,4; ქირთა აფხვრა — ქირნი ამფხვრნეს ნარონები ჩ., 343,1; ქირის უყუყრა—ბრძანება ქენ. მოსულით ქირი უკუ გეყაროს ზილ., 486,1.

პირის გააძვირება: შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ქირები 1273,1; ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგვიადვილოს ქირები 815,3; ღვთითა ქირი გაადვილდა, ჩუენთა მტერთა დღე მოვიდა შშმ 1969, 4.

პირის გადრეკა: რად უნდა, რა სასაუბრო პირია 920,2; ქირის დაძლევა—ყოლა ქირი არ ეგების, თუმცა ლხინმან არ დასძლია 630,4.

შირის ბალზინება: დაამოკლენ დღენი ჩემნი, კირი ამით გამიღ-
ბინე 855,4

შირის ბანაპრინება: სხეასა მხარსა გაემართა, მათი კირი არ გან-
კურნა 92,4; ჰირის კურნება—ცეცხლსა ცეცხლითა ვავსებდი და კირსა
ჰირითა ვკეურნებდი ვისრ., 207, 20.

შირის ბარდაუხდელი: მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხდე-
ლი კირისა 293,3.

შირის ბარდახდა: ნუთუ ქმნას ღმერთმან გარდახდა მაგ შენთა
კირთა და ვალთა 629,4; მაშინ. ლხინი ამო არის, რა გარდახდის კა-
ცი კირსა 1519,4; კირნი, მისგან უნახავნი, ღია, ვისმე გარდუხ-
დიან 739,4; ვადღვილა. აქანამდის გარდუხადა რაცა კირი 135,3;
მე რაცა აქამდინ კირი და მიჯნურობა გარდამიცდია, მეყოფის
ვისრ., 212,15; აწ ლხინითა გაისვენებს, რაცა კირნი გარდუქდიან
შენ 5168,4; კირნი სხვისთვის გარდგიხდია ომ., 294,4; რა რომ
კირნი გარდგვექადნეს, ლხინით ყველა დაგვანანე შთ., 1569,4;
ჰირის გარდახდომა — მიყმაწვილობდეს, უხარის მათ გარდახდომა
კირისა 1436,2; მზეო, ვით ითქმის, რა კირნი გარდაგქდომია
შთ., 1272,1; ჰირის გამოვლა—არ უნდა ენდოს მას, რომე დაუნაშაებლად
მის კარზედ გარჯა და წყენა ენახოს და მრავალგზის კირი და მწუხარება
გამოევილოს საბა, II, 142,4.

შირის ბარდახდომა: ნ. კირის გარდახდა.

შირის ბაძლება: ნ. კირთა თმენა.

შირის დამთმენა: ნ. კირთა თმენა.

შირის დამთმოზა: ნ. კირთა თმენა.

შირის დაძლევა: ნ. კირის გაღრევა.

შირის ლხინად შეცვალევა: კირსა ლხინად შეგვიცვა-
ლე 625,4.

შირის შატება: ხეალ გაურისა გონებამან სხეა უმატა კირსა კირი
930,4; მე კირი მით მმატებია, რომელ ჩემი სული ჩემგან აბეზარ-
ქმნილია ვისრ., 125,20.

შირის ნახვა: იგი კირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა
181,3; კირნი ვნახენ და მო-ცა-მხედა ნაცვალი კირ-ნახულისა 1206,1;
დათმე, კირი გინახავს და კირისა ბოლო მიწყით ლხინია ვისრ.,
213,10; მას ბევრი კირი უნახავს შენისა გლახ ძებნისაგან 768 1140,4;
წამოვეყ და გზასა ზედა მრავალი კირი ვნახე რუს., 356,38; მე გამო-
თქმად ამა ლექსთა კირნი ვნახენ უამრავი შთ., 1838, 1; ხამდა მისთ-
ვის კირთა ნახეა, რადგან მისებრ არეინ არი არჩ. I, 173, 314, 1.

შირის სუბაქება: რა „ტარიელ“ მოისმინა, ფრიდონს კირი უსუ-
ბუქდა 974,1; ქელ-მწიფისა საუბრითა როსტომ კირნი ისუბუქნა
შენ 2630,1.

შირის შეწყნარება: თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, კირიცა შე-
ვიწყნაროთა 717,4.

შირის შირს ღართვა: შინა მოვე, უარ გავებ, სხეა დამერთო კი-
რი კირსა 350,3; ჰირის ჰირს მომატება — ან მაეოცხლე, ანუ მომკალ,

ქირი ქირსა მომიმატე 248,4; მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ქირი ქირსა 947,1; ჳირის ჳირს მოხართვა — აწ სოფელმან უარესი ქირი ქირსა მომიხართა 1286,1.

შირის შირს მოსაშხაბა: ვერა გვარგო, მოგვიმატენ, ქირნი ქირთა მოგვისაესენ 195,3.

შირის შირს მომატაბა: ნ. ჳირის ჳირს დართვა.

შირის შირს მოსართვა: ნ. ჳირის ჳირს დართვა.

შირის ხსომვნა: რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა, ხსოვნა არა ხაშს ქირისა 687,2.

შირნახულის გარდაზღა: ძმაო, რა გარდისდის შენგან ჩემსა ქირნახულსა 1457,1.

შირნახულის წახლომბა: წახდა ჩემი ქირნახული, ვერ მოვიმევე, რაცა ესთესი 1189,4.

შირსა შიგან ბამაგრება: ქირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტირსა 865,3; ჳირსა შინა გამაგრება — ქირსა შინა გამაგრავოს, სული ჳქონდის ვით ხალებად არჩ. II, 248,3.

შირს გულის მოგმბა: დახსნილვარ ლხინსა ყოველსა, მთ გული ქირსა მოების 635,4.

შირს თაშის დარიღება: ხაშს, თუ მისთვის სიკედილსა და ქირსა თაეი არ დარიღოს 301,2; ჳირს თავის კრძალვა—ნახევარ დლე სხვა ვიარე, ქირსა თაეი არ ეაკრძილე 431,3.

შირს თაშის კრძალვა: ნ. ჳირს თავის დარიღება.

შირს მიცემა: შეიგენით, მიცემულვარ ქირსა რასმე თანისთანსა 662,4.

შირში ჩაშარღნა: თავისისა ცნობისაგან ჩაეარდების კაცი ქირსა 865,4; რა ჩაეარდეს კაცი ქირსა, მას გადრეკა აღარ უნდა მთ., 798, 4; ჳირში ჩაცვივნა—ბედითი რამე ეშაშური საქმე მგონია და ბედითსა ქირსა ჩაეცევივით ა-ღარ., 349,7; თავისთვის კარგად უქნია, მაგრამ ჩვენ დიდ ქირში ჩაეცევიულვართ რუს., 278,26; ჳირში გაშა—ეა, რას ქირშიგა გაეებო, დამეიწყედა ამას წინანი ჴილ., 259,4; ქირსა გაეები ულხენსა, მკურნალსა ვერ მიეკხედებოდი მთ., 1475,3.

შოუნვას მიცემა: მეფე მიეცა ჳმუნეასა 991,1.

შოუნვის გადიღება: მაშინ გწადღეს—იხარებდი, გწადღეს — ჳმუნეა გაადიღე 926,4; ვიარე, გამიწყებოდა, ჳმუნეა მით გამდიღებია 757,2.

შოუნვის ბათავნება: როსტანს ეჳი შეუვიდა, ჳმუნეა ამით გაათაენის 809,3.

შოუნვის გაპარება: მოდი ჳმუნეა გამიქარევე, გულსა წყლულსა მეწამლეო 104,3; ჳმუნეა გაქარდეს, პასუხი მიბძანო უკეთესეა ფეშ., 734,2; ჳმუნვის განღვენა — განსდევნეთ ჳმუნეა ყოველთა, დრო გეაქეს აწ სიხარულისა ჩ., 298,4; ჳმუნვის განგდება — ჳმუნეა განაგდო, გარდუწმდა, გულს ეკრა რაც ჳანგ-შურია გურ. 55,201, 2. ნ. აგრეთვე გულთ ამოსლეა დარდისა.

ხალვის მოძულეობა: ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაემანთა წარები 308,1.

ხანის გამოხდომა: ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტარ, რასა იქმს ქალი“ 103,1; რა მოიწყობა, ცოტა ხანი გამოქდა ვისრ., 154,31; გამოქდა დიდი ხანი და არა იწოდეს ა.დარ., 366,2; ხანი გამოქდა ღამისა მთ., 265,1; რა მცირე ხანი გამოქხდა, კარომ ხელმწიფისა კოშკთა კვერცხი დადვა და მართვე გამოჩეკა საბა, II₂, 86,4; ხანის გამოხვლა — გამოვიდა ხანი რამე სიმდიდრეს და სიხარულში არჩ. II, 615,1; ამასობაში გამოვიცდა ხანი რუს., 381,5.

ხანის ბარდახდომა:—რა გარდახდა ხანი რამე, გამოვიდეს ღამე-ღღენი 1151,1.

ხანის ღაზმა: თუ მოსრულა, უღონოდ შინა ხანსა არ დაზმიდა 1319,1; ზღვის პირს ხანსა არ დაზმიდეს 1123,4, აღრე მოვალ, არ გაგვირავ, არას დავზამ შინა ხანსა 662,1; მასვე წამსა წამოვიდა, შინა ხანი არა დაზმა 168,4; ამაჟის ძე ქიშვად მიზღვეს, — მივა, ხანი არა დაზმა შენ 151,2; მან მიჰმართა სახლსა მისსა, ხანსა არც უოლ არ დაზმიდა მთ., 1079,4; ღმერთმან ქმნას, ასრე დავზოცნეთ, არ იყვენენ ხანსა დაზმიდა ჩ., 449,4; ხუალე წასულისა ნდომა აქუს; მუნ ხანსა არ დაზმიდესა ფეშ., 87,1; ლხინი ნახეს დიდი კარგი, არ მოსწყინდათ ხანთა დაზმა არჩ. II, 222,3; გახსონს, მეფეო, თქვენ აქ ხანი რამ დაზმიდა თბ., 201,3; თუ წაბრძანდებით, წაბრძანდით, ხანსა ნულარას დაზმიდა გურ., 56,208,1; ხანის დაუოვნება—უკუბრძენეს, აღარა ქმნეს მუნ ხანისა დაუოვნება 260,4; ნუ გიკვირს მისი ვერ-ნახვა და დაუოვნება ხანისა 1504,1; ვერ ვასმინე საუბარი, მით დავუოვნე ხანი მუნ, და-89,4; აწვე მოვა, არა ვიცი, თუ დაპყოვნის დიდსა ხანსა 258,4; მან დასდვა პირი მიწასა, არ დაიყოვნა ხანია 1370,3; სჯობს რომ კარგად გამოგზავნოთ, არ ქნათ ხანის დაუოვნება შენ 178,4; ხანს ნუ დაიყოვნებთო, აღრე წამოდითო რუს., 391,36; ჩემგან არა ჯამს კვლა დაუოვნება ხანისა მთ., 620,4; მოვიდეს იგი ვაკარნი, არ დაიყოვნეს ხანები თ. I, 68,70,1; ხანის დაუოფა—მუნ დაპყოფდა დიდსა ხანსა 1174,3; სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსა ღა დაპყოფ მცირასა 874,2; თქვენ დაგზოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაპყოფთ ხანასა 1182,2; თქვა: „თუ დავბრუნდე, ეზომი ხანი რად დავყავ მე ველად 184,2; დავყავ ხანი მას მას წინაშე 411,1; ხანი დავყავ, გავეყარე, მაგრა გავხე ვითა ხელი 540,1; ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაპყო 521,1; მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაყო ხანი დიდი 1138,1; არსადა ხანი არ დაუყვეს, ერთნი თვალისა წამენი 215,3; თუ არ დავბრუნდე, საძებრად დავყენე სხვანიცა ხანანი 185,1; გამოისვენოს სიძემან, და-

ყოფილი ხანია 544,2 წავიდე ამულს. გუოგანს და აარაგს. ნივიჯე, ვინადრო და ხანი დაეყო ვისრ, 112,9; მუნ დაეყავით დიდი ხანი და შემოვედით ა.-ლარ., 363,18; ჩიტმან წყალი სვას, არ ვაყო, რომე მან ხანი დაიყო სმ 384,4. ჟერეთ ნე აჩქარებულხართ. აქ დიდსა ხანსა დაჰყოფთ რუს., 250,5; მისრეთის ასულიც თან ახლავს და ხანის დაყოფისა არა ვიცი რა ომ., 109,6; სწრაფად გვლენს სილია გზანი, მათ არ დაევენეს ხანი სრულად მთ., 582,3; საქმე მაქვსო გასაგები—თქვა—დაეჰყოფო ცოტას ხანსა თ. I, 79,156,4; აიყარეს მასვე წამსა, აღარ დაეუეს მუნღა ხანი ფეშ., 158,2; მობრუნდენ გამარჯვებულნი, მათ სადგომს ხანი რამ დაევენეს არჩ. II, 903,3; ხანი დაეჰყავით ზამთრისა, ზაფხული იქცა ეამებად თბ., 426,1; მწადს ხანი დაეყო მოკვდავმან, ვარ ამის მონამქირნენი ვახტ., 32,64,1; თვისის სულისა და ხორცის უზიანოდ და დაუსაკლისად ხანი ვერ დაეყო სანა, II, 186,34; ხანის ზმა—მუნით წავიდეს, იარეს. არ თურე ხანსა ზმადიან 1048,1; ხანის ყოვნება—გააქციენა მარღაშქარნი. არ აყოვნებს მუნვე ხანსა არჩ. II, 603,4; რადგან ღმერთმან ვაევაერთა, აღარა წამს ხანთა ყოვნა მთ., 598,2; უამთა დაზმა—დამიზმან ეამნი უღაბნოს მუღდროებით მსახურებას შინა პანს., 42,1; ეამის ღყოფილი ერთი ხოლო ეამი დაევენეს მ., 20, 12.

ხანის დაყოვნება: ნ. ხანის დაზმა.

ხანის დაყოფა: ნ. ხანის დაზმა.

ხანის ზმა: ნ. ხანის დაზმა.

ხარაჯის დაღება: ხარაჯა უასდევს. შეჰქველეს ღრპქანი ასჯერ ასია 464,1; ხარაჯის შეუეთა—ჩუენ იმეღა დაუღვეით—ხარაჯანი შეგვიკუეთნეს სმ 1537,4.

ხარბი გული: გული გრულია კაცისა. ხარბი და გაუძლომული 709,1.

ხედვის ურჩი გული: გული—ბრმა. ურჩი ხედვისა 709,3.

ხელთა გულის ხელება: იგი მეხვიენეს, მშვენილდეს. ვახელებ გულსა ხელთასა 472,2.

ხელი გული: წავე გულითა ხელითა 758,2; ველარ გავქელ. იგიცა მოვკალ გულითა ხელითა 900,4; ყმა წავიღა. მას ევონებს, ხელი გული ვისთვის კვდების ჩ., 75,1.

ხელი გულით გასდრომა: შემებრალნეს და გაუმზავლა, გავხე გულითა ხელითა 990,2.

ხელი თაპი: ყმა ეტყვის. თე: „შენთა მჭერტთა თავი ხელი, ა, სად აგეს“ 136,3.

ხელის აპრომა: სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აპყრობა ხელისა 254,2; მამამან ასრე რა ნახა, ქელი აუპყრა ზილი, 19,4; ყმას ეწერა რადგან ზენით, მით აუპყრნა ღმერთმან ქელი მთ., 1281,1; თავის საქმეზედ მოსაზროს. მანვე თქვას, ხელს ვის აპყრიდეს არჩ. I, 140, 49, 3; ხელის აღპყრობა — მოავლინენ შენდა შემწე წმიდით მისით და სიონით გამო ქელი აღგაპყარნ შენ ფს., 19,3; მაშინ აღ-

დგა მონაზონი, იგი თედორე და ალიპყრნა ქელნი თჳსნი ზეცად ღმრთისა მიმართ ლომი, 68, 12; ევედრებოდა იგი ღმერთსა და აღიხილნა თუალნი და ალიპყრნა ქელნი ასურ. შოღვ., 24,25; მნებაეს ყოველთა კაცთა ყოველსა ადგილსა აღპყრობაჲ ხელთაჲ მ. სწ., 298, 17; კვალად გარდმოუშვა ცრემლი მდუღარე და აღუპყრა ხელი ღმერთსა რუხს., 312,3; ყოველს ქუეყანას ქელი აღუპყრია და მიგელიან ქელაპყრობილნი ღეთად და ქელმწაფედ შეფ. სალ., 251, 22; ვინც ეს შაირი გულისხმავს, პირველნი შეიწყალოს და დაერდომილთ ხელი აღუპყრას საბა, II, 34,23.

ხელის გამართვა: მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად 93,1.

ხელის გამართვა: მე მისთვის ხელი ვით გაეძრა, ვინ ჩემთვის ფერნამკრთალა. 1471,3.

ხელის გახსნა: ხელი გაეხსენ, დამიწყო მოჭობინება 259,3; დღესა ერთსა ამირამან ქელი გაიქსნა ა-ღარ., 373,33; თუ დაყოდილობისაგან სისხლი სდენიყოს ბევრი, მაშინ ხელის გახსნა არ უნდა უსწ. კარაბ., 119, 12; კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ ხელი გაიხსნას წ. სააქ., 80,19; იქ იმას ხელი გაუხსნეს, აქ ჩემმან მკლავმა ინება თ. 1, 30, 46, 3; ხელის გახსნევა — სისხლი დამწამეს; მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა 355,3; მკლავის გახსნა—მკლავსა გაეხსენი, არამცა დამიგდოს ცუდმა სნებამან თან., 1301,3; სისხლის გარდაშვება — უბრალოსა სისხლსა გარდაუშვებენ 258, II, 410,28; სისხლის გაშვება—მამა სისხლსა არ გაუშვებს, გული ასრე გაიმართე 262 3091,3; სისხლის გამოშვება—თუ სნეულმან სისხლი ვერ გამოუშვას გახსნითა, მას ტაბაშირის ყურსი მიეც და ეშველები უსწ. კარაბ., 122,7; სისხლის გამოღება—პატარა ცვილი დაადნოს და შემოსდვას... კოტრომიცა მოკიდოს, რომე ავი სისხლი გამოიღოს უსწ. კარაბ., 412,8; სისხლის ამოღება—პირიდაღმა რომ სისხლსა ამოიღებდეს, მას უშველის უსწ. კარაბ., 79,14; სისხლის დენა—კოტრომი მარგე არის, ასე რომ სისხლსა ნუ ადენ უსწ. კარაბ., 382, 28.

ხელის გახსნევა: ნ. ხელის გახსნა.

ხელის დახვრება: მიბრძანა. თუ: „ქალი ენახოთ“, ხელი ხელსა დამიქირა 333,3.

ხელის მიუშვებარობა: მეფედ რა დაქდა, არა სკირს ხელისა მიუშვებარობა 311, 3.

ხელის მიხრება: ხელი მიჰყო, წამოზილნა 572,1; მან მიჰყო ხელი ალვასა 1345,2; მიჰყვნა ქელნი ამირან დარეჯანის ძემან ა-ღარ., 359,12; წყეულს ედვა მოგეშიგ დაშნა, დასაკლავად მიყო ქელი 262 334,2; იამა და მშვილდ-ისარს ხელი მიჰყო რუხს., 46,7; ხელი მიჰყვეს, ათსა დღესა გაათავეს, დაასრულეს ომ., 244, I; ქალის ზითევის ქელი მიჰყვეს. სამ დღე კარში ძლიე გაზიდეს ზილ., 107,1; პირველ შუბი მოვიქნივე. მერმე მიეკჷყავ ხმალსა ხელი არჩ. II, 553,1.

ხელის მხდელი: ემა ტყბილი და ტყბილ-ქართული, სიკეთისა ხე ლის მხდელი. ამაზედა ეუბნების. ვით გაზრდილსა ამო მზრდელი 701.1; ავით თავსა ეინ გაიხდის სიმთელისა ხე ლის მხდელი ვახტ., 158, 726, 4.

ხელის საშრამი: მის ხე ლისა საუ რავე მათ ორთავე მითხრეს წყნარად 331,2.

ხელის შეხება: ხელმწიფობით შემეპირალნეს. ამაღ ხე ლი არ შევე-ხე 291,2.

ხელის ხდა: რა დავრჩე, ხე ლსა მხდლი რასა 874,3; არ იხმარებ, რას ხე ლსა ხდლი საუნჯესა დაფარულსა 892,4; მეფე ანუ მისნი სპანი, ნეტარ, ხე ლსა რასა მხდლიან 739,1; თვით მაგისებრსა შეილსამცა ჩვენ ხე ლსა რააა ეხდლიდითა 508,4; ხე ლი ხადეს სრმალთა მათთა. არა ეულად წელთა ებნეს 1521,4; ხე ლი კვლა ეხადოთ აბჯარსა. მას ჩვენგან მძლედ ნახმარებსა 1391,4; რათგან ესე ერთიცა არა მაქუს, რასაცა რას ჯელსა ექქდი, ანუ თუით სიციცხლესა, ტირილიმცა რად მევირ-ვებოდა ვისრ., 218,32; მე იქ ხე ლი რად მეხდების უშენოსა, ფერ ნამ-კრთალსა ომ., 176,2; სულსა რას ჯელს ექქდი უშენოდ, რადმცა ვაუბ-ნებ ენასა მთ., 1492,2; თუ შეგებაამთ, შეგებაითო, რას ხე ლსა გვხდით აქა მდგომთა არჩ. II, 626,3.

ხელის ხრმალს დაგება: მეცა თქვენად დასახოცლად ხე ლი ხრმალ-სა დამიგია 436,4.

ხელმჯის ნობათი: აწ ნობათი ხე ლობისა მომხვდომია. მით ეარ ხელად 917,4.

ხელ-წმიდად განათალი თვალი: მუნ იღვა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად განათალისა 1353,2.

ხვაშიადის ვერ-შმაღამი: ესეგვარი ღია მიხედეს... ხვაშიადთა ვერ-შმაღავსა 1094,2.

ხვაშიადის თხრობა: ვისმცა ვუთხარ ხვაშიადი? შენგან კიდე არუინ ვარგა 161,1; რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა 1081,3; გითხრობ რასმე ჩემსა ხვაშიადსა და ნუ დასკვნ-დები რუს., 9,1; ხვაშიადის მხოზა—კიდეც რომ შემეტყო, მე შენს ხვა-შიადს სხვას კაცს როგორ ვუამბობდიოთ. II, 161,26; ხვაშიადის თქმა აქა საცხადო იქნა, უცხოსა კაცთანა ხვაშიადის თქმას სარგებელი არა აქვს საბა, II, 454,14; ხვაშიადის თქმეფინება—ჩემი ხვა-შიადი რაიცა შენ იცი. თუცა გათქმევიწინეს, მერმე ჩემი კირი ერ-თიორად პირთა წამომიდგება საბა, II, 287,6; ხვაშიადის გამოცხადება — გამოუცხადა ენამან საპატრიროსავან ხვაშიადი პატრონისა უხე-ბლიე ვისრ., 56,7; აწ ვიაჯი, რათა... მიბრძანო და ხვაშიადი გამო-მციხადოთ. II, 141, 21; კაცთათვის ხვაშიადის გამოცხადე-ბის დაშლა უბრძანებიათ საბა, II, 253,5; ხვაშიადის ვაცხადება—გაუ-ცხადა ხვაშიადი, ბრძანა: „გავეძვხ სიციცხლითა“ შნმ 5019,4; აწ ბუკითა შენს წინაშე განეცხადებ ხვაშიადსა, არჩ. I, 206,596,1; გაგიცხადებთ ხვაშიადსა, კირთა კირზე მოსავსებად თბ., 5,3;

ერთმან კაცმან რა ხეაშიადი გამანკოს, იგი რა გავაცხადო. დიდი ცოდვია საბა, II, 305,12; ხუაშიადის გამეღვანება—შინთა საქმეთაგან გამეღვანებულა ჩემი, ხეაშიადი ვისრ., 179,37; ლამისაგან დამალული ხეაშიადი გაამეღვანეს შნმ 2091,2; ვინ გაამეღვანა ჩემი ხეაშიადი და ჩემს ქმარს ჩემი თავი ასრე უწყალოდ ვინ მოაკვლევინაო თ. II, 161,17; ხეაშიადი გაგიმეღვანდა, ფუო,—პირსა შეაფურთხა ბესიცი, 154,37,2; ხოშიადის გამომეღვანება—კველამან ქანგი გაიმახვენით და ხოშიადი გამოვამეღვანოთ შნმ II, 435,16; ხვაშიადის გამოჩენა — არამც მას კაცსა ჩემი შიში რამე აქვნდეს, და თქვენ მება ხეაშიადისა გამოჩენისა მიზეზად შეგქნათ საბა, II, 253,17; ხვაშიადის გამხელა—ხელმწიფემა ხეაშიადი გაანდო, და მან გაამხილა საბა, II, 254,6; ხვაშიადის განდობა—ვერც ვნახე კაცი აგეთი, რომე... ჩემი ხეაშიადი მისთვის გამენდო რუს., 22,21; ერთმან კაცმან რა ხეაშიადი გამანდოს. იგი რა გავაცხადო. დიდი ცოდვია საბა, II, 305,12; ხვაშიადის გამონდობა—ხეაშიადისა გამოგანდობა,—შენგან არსად გამეღვანდების შნმ 5110,2; გულისპახუხის განდობა—თუცა თვისი გულის პასუხი სხვას ვისმე გაანდო. მან რომე კიდევ გაამხილოს, აუგად არ დაიდება საბა, II, 257,3; გულის სიტყვის განდობა—მეშინის, გულის სიტყვანი მინდა გაგანდო ყოელი საბა, II, 220,2.

ხვაშიადის შენახვა: ნ. ნამუსის ნახვა.

ხმელთა მნათი: ვითა ეკადროთო დავსება პირისა, ხმელთა მნათისა 1210,3; უხარის ნახვა ლომისა და მზისა, ხმელთა მნათისა 1419,4; ქმელთა მნათობი—ამ სახით იყო როადამ ვმელთა მნათობი საჩინო შნმ 1476,4; ხელმწიფეო, ხმელთა მნათობო რუს., 108,3; ხმელეთის მნათობი—რად იქ, მნათობო ხმელეთისაო, ეგდენსა მოწყალებასა ჩვენზე რუს., 114,28; ხმელთა მნათობელი—მათ უვის ერთი ასული, მზე ხმელთა მანათობელი 1251,2.

ხმელთა მანათობელი: ნ. ხმელთა მნათი.

ხმის გამონდობა: მით ნათლიდალმა გამოხდა ხმა, ჩენი მოუბარეო 1214,4.

ხმის განახლება: მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი 1302,3.

ხმის განდობა: დღე მიიყარა, ხმა გახდა, მოვიდა მისი მდევარი 1190,1; მკერდს ოროლი ჰკრა, ხმა გახდა თან., 653,3; ხმის დაგდება—ყმა გავიდა, გაეპარა, და აგდებდეს ვირე ხმასა 1102,2; მითქვამს. უთუოდ ბოლოვამს სახელის ავს ხმას და აგდებდარჩ., I, 166, 250,4; ხმის დავარდნა—ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწყევარი 552,1; ოდეს სასიძო მოჰკალ და ხმა დაგივარდა, მეფესა ესმა, აიკრა 565,1; ხმა დაგივარდება და არას უცხოს ქვეყნის კაცი არ მოგენდობა-მეთქი რუს., 505,1; დაევარდა ხმა და გაისმა ამბავი, ვითა მისრეთის ხელმწიფეს ერთი ვინმე ფალავანი მოსვლია ომ., 69, 22; ქალაქშიგა ხმა დავარდა, სადაცა ვინ დარბაზობდა ზილ., 48,2; ვინცა ნახა, ერთმანერთსა უთხ-

რეს, ყოვლგან ხმა დაეარდა არჩ. XI, 1005,2; ჳმის განქლომა—ყოველსა ქუეყანასა განქდა ქმაა მათი ფს., 18,5.

ხმის დაგღება: ნ. ხმის გახლომა.

ხმის დაპარღნა: ნ. ხმ.ს გახლომა.

ხორცთაგან სულის გახლომა: თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაპყო 521,2; სული განეყვის ხორცთაგან მძლავრებით, არ წაყვანებით ჩ., 524,3; ჳორცთაგან სულთა მიწურვა—უშე-ნობისა ტირილითა თულნი დამბრშობიან და სულნი ჳორცთაგან მიმწურვან გასაყრელად ვისრ., 129,24; ხორცთა და სულის გაყრა — ჩემი ლხინია სიყვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა 271,4; მას ფერი ექცა, კენადარ ხორცს სული გაეყარაო ბაქ., 100,2; ჳორცთაგან განსლვა—ხოლო შემდგომად ჳორცთაგან განსლვისა და სოფლით გარდაცვალებისა უოხვნოთა შინა იშუებს საშუებელთა ზეცისა ტალავართა ასურ. მოღვ., 67,26; ბერი ჳუედიოს მოხუცებულ იყო ფრიად და მიახლებულ ჳორცთაგან განსლვად ხანცთ., 257,35.

ხორცთა და სულის გახლომა: ნ. ხორცთაგან სულის განყოფა.

ხორცის დაღრმობა: ნ. ქების კადრება.

ხორცის მოხსენება: მოახსენა ხორცბა სრული, დალოცა და უქნა ჳენი 1018,2.

ხორცის შესხმა: ნ. ქების შესხმა.

ხორცთა ელვა: მათი მესმა, დაეინახე ჳახელი და ხრმალთა ელვა 597,1; ჳრმალთა ელვა საშინელი იყო—ერთობ ჳახა-ჳუხი შნმ 2064,1; შეიქნა შემოკვილი და შემოძახილი, ხლმისა ელვა და ლახტის ცემა რუს. 127,36.

ხორც-კაპარჳის მომპარება: ხრმალ-კაპარჳე მოიმაგრა, მკლავნი გაიმაპურნა 92,2.

ხორცის კვეთა: მუნა მე ხრმალი არ მიკვეთს 1462,3; ბაბილოვანს და სამხრეთსა ბრძოლილ მყო ხლმისა კვეთამდი თბ., 469,2.

ხორცის მახება: არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ 502,4; ხრმლის მომახვა—რათგან თავი არ მომიკლავს, ხრმალი ცუდად მომიმახავს 648,4.

ხორცის მომახება: ნ. ხრმლის მახვა.

ხორცის ძნება: ჩემთა მტერთა დავადადე დასახოცლად ხრმლისა ქნევა 539,2; სმასა ომი შირჩენია, მძიმე ლახტი, ჳრმლისა ქნევა შნმ 2022,1; მოგვეწყინა ხლმისა და ლახტის ქნევა რუს., 204,36; მათი ეგზომი ხლმის ქნევა—ყოვლთა მჳერტელთ უყვირდა ომ., 29,36; მანცა ნახოს ჳრმალთა ქნევა, მკლავთა ჩემთა მონახლომი მთ., 716,4; დუშმანთ გული გაუტეხე, ხლმის ქნევითა ამიქნა თბ., 329,2; ხმლის მოქნევა—რა ხოსროს ბარზინ მოუქნივის ხმალი ან ლახტი, ხოსროს ცხენი გაუტხის და დაიციდინის რუს., 285,30.

ხორცი წამწმისა: შენ ხარ. ლონე წამწმისა ხორცისა 1253,4.

ჴ

ჯავრიანი ბული: იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანი
ნითა 1103,1; გული ეღვათ ჯავრიანი, ეტლი მათი ატირეს შნმ
3452,2; შეეყარნენ ხელმწიფესა ჯავრიანი თა გულითა რუს., 192,16.

ჯავრის შარჩენა: მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო 236,1; მე
მის მკლეს კავკავისა უღარესი არა ვარ, რომე მიმინოსა თვისი ჯავრი არ
შეგარჩინო საბა, II, 153,28.

ჯავრითა მანის ავოლხვება: ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლ-
ხვა ჯაკვეთა მანა 385,3.

უ მ მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

აბდ.—იოანე შავთელი, აბდულმესიანი—ძველი ქართველი მეხოტბენი, II, ი. ლოლაშვილის გამოცემა, 1964.

აბიბ.—წამებაჲ ... გურია, სამონა აბიბოსეთა.—კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, 1962.

ა.-დარ.—მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი—ჩვენი საუნჯე, II, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1960.

აზმ.— ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი—ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1959.

არისტ.— წამებაჲ ... არისტაკეზი—ქართული და სომხური ლიტ. ურთ. 1944.

არჩ. I — არჩილიანი, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1936.

არჩ. II—არჩილიანი, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1937.

ასურ. მოღვ.—ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, 1955.

ბაგრ.—სამართალი ბაგრატ კურაპალატისა—ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963.

ბალ.—ბალავარიანის ქართული რედაქციები, ი. აბულაძის გამოცემა. 1957.

ბაქ.—იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, 1963.

ბ.-გულ.—ონანა მდივანი ქობულაშვილი, ბარამგულიჯანიანი—ქართველი მწერლები რუსეთში, დ. ბრეგაძის გამოცემა, 1958.

ბესიკი—ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. 1962.

ბ. კაც.— ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის გამოცემა, 1914.

გამოცხ.—იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ი. იმნაიშვილის გამოცემა, 1961.

გობრ.— ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით, 1964.

გურ.—დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1955.

დაბ.—წიგნი დაბადებისაჲ.—წიგნნი ძველისა აღთქმისანი, ტ. I. ნაკვეთი I, გამოსცა ა. შანიძემ.

დ. აღმ. ისტ.—დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი—ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955.

- დ. თუმ.—დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, მიხ. ხელთუბნელის რედაქციით, 1938.
- დ. სააკაძე—დიმიტრი სააკაძე, ლექსები—ქართველი მწერლები რუსეთში, 1958.
- ებრ.—ებრაელთა მიმართ—ახალ აღოქემაჲ, 1963.
- ევსტ.—მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ—ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, ილ. აბულაძის რედაქციით, 1964.
- ეზოსმოდ. — ბასილი ეზოსმოდლუარი, ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი—ქართლის ცხოვრება, II, 1959.
- ეფრ. ახ.—ეფრემ ასური—ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტ. ჭრესტ., II, 1963.
- ეპ. დღ.—ბასილი დიდი. ექუსთა დღეთაჲ—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, გამოსცა მ. კახაძემ, 1947.
- ეშუ.—იესე ბარათაშვილი, ეშუი-ხონია—ძვ. ქართ. მწერლობის საკითხები, II, 1964.
- ვახტ.—ვახტანგ VI, ალ. ბარამიძის რედაქციით, 1947.
- ვახტანგვანი—„ლიტერატურული ძიებანი“, № 4 (ს. ყუბანეიშვილის პუბლიკაცია), 1948.
- ვისრ.—ვისრამიანი ალ. გვახარია და მ. თოდუას რედაქციით, 1962.
- ზარზმ.—ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ—ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.
- ზილ.—იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები—გ. ჭაკობიას რედაქციით, 1927.
- თ.—ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი—ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ი. ლოლაშვილის გამოცემა, 1957.
- თან.—სულხან თანიაშვილი, ამირან-დარეჯანიანი, გ. ჭაკობიას რედაქციით, 1941.
- თბ.—იოსებ თბალელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის გამოცემა, 1939.
- თ. ედ.—თეოდორე ედესელის ცხოვრება—კ. კეკელიძე, ეტიუდები, VI, 1960.
- თ. I—თეიმურაზ პირველი, ალ. ბარამიძისა და გ. ჭაკობიას რედაქციით, 1934.
- თ. II—თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჭაკობიას რედაქციით, 1929.
- ი.—იოანე—ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის გამოცემა, 1945.
- იერემ.—წინაწარმეტყუელებაჲ იერემიასი (პარაზული გამოცემა, 1961).
- ივლ.—წამება ივლიანე ემეწელისაჲ—კომენი, I, 1918, კ. კეკელიძის რედაქტორობით.
- ი. შტბ.—ი. შტბევარი—ძველი ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოცემა, 1913.

იობი—წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. I. ნაკვეთი 2, გამოსცა ა. შანიძემ, 1948.

კლემაქსი—ი. სინელი, კლემაქსე თარგმანი გ. ათონელისა, ფოთი. 1902.

ლ. —ლუკა—ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945.

ლიმ.—იოანე მოსხი, ლიმონარი, ი. აბულაძის გამოცემა, 1960.

ლუკიან.—მარტვილობა ლუკიანოზისა—კიმენი, II, კ. კეკელიძის გამოცემა, 1946.

მ. — მათე—ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945.

მარკ. — მარკოზი—ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945.

მარტვ. სერგ.—მარტვლობა სერგისა და ბაქოზისი—კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, 1963.

მარკ. შახ.—წამება მარკოზ მახარებლისა—კიმენი, I, კ. კეკელიძის რედაქტორობით, 1918.

მაქს.—ცხოვრება მაქსიმე აღმსარებლისა—კიმენი, I, კ. კეკელიძის რედაქტორობით, 1918.

მეს. — ცხოვრება სვმონ მესუეტისა—კიმენი, I, კ. კეკელიძის რედაქტორობით, 1918.

მესუკ.—წამება წმიდათა მოწამეთა მესუკავეთა—ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, ი. აბულაძის გამოცემა, 1944.

მეფ. სალ. — მეფეთა სალარო—ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათაა, II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1949.

მთ.—ნოდარ ციციშვილი—შვიდი მთიები, კ. კეკელიძის გამოცემა, 1930.

მინჩხ.—იოანე მინჩხი—ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1913.

მოდრ.—მაქაელ მოდრეკილის საგალობლების კრებული, ხელნაწერთა ინსტ. S 425.

მოქც.—მოქცევა ქართლისა—ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.

მრ.—ლეონტი მროველი—ქართლის ცხოვრება, I, 1955.

მ. ხწ.—მამათა სწავლანი, ილ. აბულაძის გამოცემა, 1955.

ნერს. — წამება წმიდისა ნერსე მთავარეპისკოპოსისა სომხეთისა და ხადისი ეპისკოპოსისა — ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, ი. აბულაძის გამოცემა, 1944.

ნისიმე—ცხოვრება ნისიმესი—კიმენი, I, 1918.

ომ.—ომინიანი, გ. ჭაკობიას გამოცემა, 1937.

ონანა მღივანი, ანბანთქ.—ონანა მღივანი ქობულაშვილი, ანბანთქება—ქართული მწერლები რუსეთში, 1958.

პანს.—ცხოვრება პანსოფი ალექსანდრიელისა—კიმენი, I, 1918.

პართ.—ცხოვრება წმ. გრიგოლ პართელისა, ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემა, 1920.

პ. იბერ.—პეტრე იბერიელი. შრომები, ს. ენუქაშვილის გამოცემა, 1961.

რომ.—რომაელთა მიმართ—ახალი აღთქემა, 1963.

- რუს.—რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, 1957.
- საბა, II₁—სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II₁, აღ. ბარამიძე-სა და ე. მეტრეველის რედაქციით, 1962.
- საბა, II₂—სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II₂, აღ. ბარამიძე-სა და ე. მეტრეველის რედაქციით, 1962.
- საბ. ას.—ცხოვრება საბა ასურისაჲ—ს. ჭანაშვიას შრომებ., III, 1959.
- საბ. პალესტ.—ცხოვრება საბა პალესტინელისა—კიმენი, II, 1946.
- საქ. ნიკ.—საქვრველებანი წმიდისა ნიკოლას მთავარებისკოპოსისანი—ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტ. ქრესტ. II, 1963.
- სინ.—სინური მრავალთავი, ა. შანიძის რედაქციით, 1959.
- ტიშ.—ტიმოთე ანტიოქიელი, კ. კეკელიძე, ეტ. უღები, VI, 1960.
- ტირიჭ.—წმიდათა ყრმათა ორთა ძმთა დავითისი და ტირიქანისი საკითხავი—ქართულ. აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.
- ფეშ.—ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1935.
- ფს.—ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, მზექალა შანაძის გამოცემა, 1960.
- უსწ. კარაბ.—ქანანელი, უსწორო კარაბადინი, 1940.
- შეყ.—ცხოვრება იოანე შეყენებულისაჲ—კიმენი, I, 1918.
- შნშ—შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ი. აბულაძის გამოცემა, 1916.
- შნშ. II—ფირდოუსი, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 1934.
- შუშ.—წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ—ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებ., I, თბილისი, 1964.
- ჩ.—ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1948.
- ცხ. გ. მთწ.—ცხოვრება და მოქალაქობა გ. მთაწმინდელისა ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901.
- ცხ. დ. გარესჭ.—ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955.
- წამ. თომ.—წამება წმიდისა თომა მოციქულისაჲ ინდოეთს—ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, გამოსცა ც. ქურციკიძემ, 1959.
- წარტყ.—Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами, тексты и разыскания, IX, 1909, ნ. მარის გამოცემა.
- წ. სააქ.—წიგნი სააქიმოჲ, ლ. კოტეტიშვილის რედაქციით, 1936.
- ხანცთ.—ცხოვრება გრიგოლ ხანცთელისაჲ—ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.
- ხრონ.—ხრონოლოგია გიორგი მონაზონისაჲ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. 1920.
- ჭუანშ.—ჭუანშერი—ქართლის ცხოვრება, I, 1955.
- ჭაბო.—მარტყოლბა ჰაბო ტფილელისაჲ—ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.

ს ა რ ა ჩ ე ვ ი

ავტორისაგან		3.
„ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგია		6
„ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი.		25—190
ა		25
ბ		32
გ		36
დ		67
ე		70
ვ.		73
ზ		79
თ		82
ი		89
კ		91
ქ		93
ღ		96
წ		111
ჭ		114
ც		115
ძ		119
წ		119
ჩ		120
ც		145
ძ		146
წ		149
ჭ		151
ც		153
ძ		157
წ		159
ჩ		164
ც		164
ძ		175
წ		177
ჭ		180
ც		184
ქ		190
შემოკლებანი.		191

Шалва Иосифович Глonti

Фразеологический словарь
«Витязя в тигровой шкуре»

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1968

რედაქტორი ალ. არობელიძე
მხატვარი ო. ვარვარიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ე. მაისურაძე, ო. ცინცაძე

გადაეცა წარმოებას 13/VI-67 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/II-68 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,29
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,22
ტირაჟი 4.000. შეკვ. № 895
ფ ა ს ი 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.
1968

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა,
თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба»,
Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15